ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

## 3090

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 2009 №328 (5069) ფასი: 30 თეთრი

# ირაკლი დოკვაძემ ელზა გულიაშვილის დაკითხვა მოითხოვა

„თუ ამას არ გააკეთებთ, ჩვენებას არ მოგცემთ“ გვ.4



## რატომ გადაიფიქრა ცაგარეიშვილმა პარლამენტიდან წასვლა

გვ.3

იანვარში დეპუტატი პრეზიდენტსა და მთავრობას უჩივლებს



## რესპუბლიკურ საავადმყოფოს 30 მილიონად ყიდიან

გვ.2

# ცხინვალის აღების სტრატეგია მაია ნადირაძეს ჰქონდა

გვ.8

დემონტაჟი ეგლებს კი არა, ხელისუფლებას სჭირდება

გვ.6



## პროტესტის ახალი ტალღა აუცილებლად დაიწყება!

## ადამიანის სიცოცხლეს ხელისუფლებისთვის ჩალის ფასი აქვს

გვ.4

რატომ ააფეთქეს „დიდების მემორიალი“ 2 დღით ადრე



## ოპოზიცია 7 წლამდე ბავშვების უფასო მკურნალობას მოითხოვს

გვ.4



# სუფრული პატრიოტიზმი სამარხვო ტორტით

რატომ არის ღალატი რუსული ფილმების ყურება გვ.4

## ქართველების დანგრეულ მემორიალს მოსკოვში აღმართავენ



საკაშვილის გარემოცვა საქართველოს ახალ ისტორიას წერს

გვ.2



გვ.2

## ნორიოში ნაგავსაყრელის გადატანას რესპუბლიკელებიც აპროტესტებენ

**3** საახალწლოდ შესაძლოა რუსეთ-საქართველოს შორის ავია-რეისები აღდგეს

**2** გალის რაიონის ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი 18 იანვრამდე შეწყდა

**2** რუსი ჯარისკაცისათვის თავშესაფრის მიცემის საკითხს ქართული მხარე ოთხ თვეში განიხილავს

**4** რატომ ვერ იღებენ დევნილები დახმარებას?!

## გალის რაიონის ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი 18 იანვრამდე შეწყდა

გალის რაიონის ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი ოფიციალურად 18 იანვრამდე შეწყდა.

როგორც „პირველს" გალის რაიონიდან აცნობეს, ზამთრის არდადეგების ნაადრევად გამოცხადების მიზეზი „ღორის გრიპის" ვირუსი გახდა.

— გუშინ გალის განათლებიდან ოფიციალურად შეგვატყობინეს, რომ სასწავლო პროცესი შეგვეწყვიტა, რადგან მოსწავლეთა გაცდენების რაოდენობამ 50%-ს გადააჭარბა. მოსახლეობა ძირითადად სახლებში მკურნალობს, ხოლო ის, ვინც გადასვლას ახერხებს - ზუგდიდის საავადმყოფოებში, — განუცხადა „პირველს" წყარომ.

შეგახსენებთ, რომ ქართულმა მხარემ „ღორის გრიპის" სამკურნალოდ აფხაზეთში წამლების საკმაოდ დიდი რაოდენობა გააგზავნა, თუმცა იქაური მოსახლეობა აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს და მკურნალობის კურსს ისევ ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადის.

**პირველი**

## რუსი ჯარისკაცისათვის თავშესაფრის მიცემის საკითხს ქართული მხარე ოთხ თვეში განიხილავს

სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი რუსი სამხედრო მოსამსახურის ვიტალი ხრიპულინის მიმართვაზე აცხადებს, რომ ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმას, თუ რა „წარმატებით" მიმდინარეობს რუსეთში სამხედრო რეფორმა.



როგორც ცნობილია, რუსმა ჯარისკაცმა საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით გუშინ მიმართა. იაკობაშვილის თქმით, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე ესა თუ ის გადაწყვეტილება სათანადო განხილვის შემდეგ მიიღება.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა ჟურნალისტებს განუმარტა, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხი განსახილველად ქართულ მხარეს ოთხთვიანი ვადა აქვს. მისივე თქმით, ამ დროისათვის ხრიპულინს ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

— მოქმედი პროცედურების თანახმად, სამხედრო მოსამსახურესთან შვიდი ინტერვიუს ჩაწერა მოგვიწევს, რომელსაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი დაესწრება. ინტერვიუების გაანალიზების შემდეგ გადაწყდება, მიიღებს თუ არა ვიტალი ხრიპულინი საქართველოში პოლიტიკურ თავშესაფარს, — აღნიშნა კობა სუბელიანმა.

მისივე თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა ქართულ მხარეს გადმოსული რუსი ჯარსიკაცების სამშობლოში დასაბრუნებლად მათი მშობლები ჩამოსულან. თუმცა, სათანადო გადაწყვეტილებებს ასეთ დროს გაერო იღებს.

კობა სუბელიანი აქვე სრულ აბსურდად მიიჩნევს გამოძიების ფედერალური სამსახურის ბრალდებას, თითქოსდა რუსი ჯარისკაცი ქართულმა მხარემ დააკავა.

**მედიანიუსი**

# ქართველების დანგრეულ მემორიალს მოსკოვში აღმართავენ

## სააკაშვილის გარემოცვა საქართველოს ახალი ისტორიას წერს

თეა მარხვაი ე

**საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს კიდევ ერთხელ მისცა ჩვენი ლანძღვის საბაბი. ნიკოლოზობა დღეს ქუთაისში განხორციელებული ვანდალური აქტი კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი და ეს ის შემთხვევა იქნება, როცა საქართველო ვერაფრით ვერ გაიმართლებს თავს.**



სიმართლის დასადგენად არც ტალიავინის კომისიის შექმნა იქნება საჭირო. თუმცა, თუ შეიქმნა, დარწმუნებული იყავით, რომ დასკვნა ხელისუფლების წინააღმდეგ დაიდება. ცხინვალში ომის დაწყება იმით ავხსენით, რომ რუსულ აგრესიას ვუპასუხეთ. საინტერესოა, როგორ აგვიხსნის „დიდების მემორიალის" აფეთქებას სააკაშვილი.

როგორც ამბობენ, პრეზიდენტი ამ ფაქტით შეძრწუნებულია. სამაგიეროდ, ნაციონალური ელიტა და პრეზიდენტის მხარდამჭერი ისტორიკოსები ძეგლის მემორიალის აფეთქებას ამართლებენ. და არა მარტო ამართლებენ, არამედ მზად არიან, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ყველა ქართველის საფლავი დაიარონ და დაარბიონ.

ნაციონალებმა ძალიან საინტერესო შეფასებები გააკეთეს. თურმე ის მემორიალი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა. იმ 300 ათას ადამიანს კი არაფერი გაუკეთებია. ვიღაცის წინაპარი მეორე მსოფლიო ომის დროს თუ დეზერტირობდა, ეგ მათი პრობლემაა, მაგრამ მაშინ ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი მსოფლიო იყო დარაზმული. მათ შორის ჩვენი ნაციონალების სათაყვანებელი ამერიკაც.

ერთმა ისტორიკოსმა კი ის განაცხადა, რომ წარსულის გადმონაშთები ხელს გვიშლიან ძლიერი საქართველოს აშენებაში. ეს ის ისტორიკოსია, რომელიც ცოტა ხნის წინ გვიმტკიცებდა „მხედრიონი" ქრისტეს მხედრობააო. იმ დროს თავადაც მხედრიონელი იყო. ისე, საინტერესოა, ახლა როგორ შეაფასებდა მხედრიონს. პრინციპში, იმ ისტორიკოსის შესაფასებელი მხედრიონს არაფერი აქვს. მათ ბევრი ცუდი რამე აქვთ გაკეთებული, მაგრამ მათ სახელს ბევრი სასახელო ისტორიაც უკავშირდება.

და კიდევ ეს ის ისტორიკოსია, რომელმაც იმის გამო, სააკაშვილი რომ ესიამოვნებინა, განაცხადა, ბახტრიონი თათრებისგან ოსებმა გაათავისუფლესო. ასეთი აღმოჩენა პრეზიდენტმა გააკეთა. ბახტრიონის გათავისუფლებაში ოსები მართლაც მონაწილეობდნენ, თუმცა, უმნიშვნელო რაოდენობით. კახეთი კი თათრებისგან მთიელებმა გაწმინდეს. სააკაშვილს და ამ ისტორიკოსს რომ ვუსმინოთ, ოსები ბახტრიონს ათავისუფლებდნენ, თუშ-ფშავ-ხევსურნი კი ხინკალ-ფართზე იყვნენ წასულები.

ისტორიის დამახინჯება სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს. ახლა კი ისევ „დიდების მემორიალის" გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს მივხედოთ.

მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა საგანგებო განცხადება გაავრცელეს, სადაც ამბობენ, რომ ამ მემორიალს მოსკოვში აღმართავენ. ეს განცხადება მიხეილ ხუბუტიამ გააკეთა.

საქართველოს საელჩოს შენობის წინ კი რუსებმა აქცია გამართეს და ქართველები ვანდალიზმში დაგვადანაშაულეს. მართალია, რუსებისგან ვანდალების ხსენება სხვისი მისამართით ცოტა უხერხულია, მაგრამ რაც 19 დეკემბერს მოხდა, მართლა ვანდალიზმი იყო.

ეს ფაქტი ყურადღების მიღმა არც რუსეთის პრემიერს დაუტოვებია. რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი ქუთაისში რამდენიმე დღის წინ აფეთქებული „დიდების მემორიალის" მოსკოვში აღდგენის ინიციატივით გამოდის.

რუსული მედიის ინფორმაციით, მთავრობის პრეზიდიუმის სხდომაზე პუტინმა მემორიალის დემონტაჟს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის საერთო ისტორიის წაშლის მორიგი მცდელობა უწოდა.

— შესაძლებლად მიმაჩნია ამ მემორიალის აღდგენა ერთ დროს ჩვენი ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქში — მოსკოვში, — განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა.

სააკაშვილი მემორიალის აფეთქებაზე მხოლოდ შეძრწუნებულია, შეფასებებს კი ნაციონალების ვიწრო წრე იძლევა, რომელთა აზრით, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი დანაშაულია.

ისე, ამ ტკბილ და მურაბა საზოგადოებას ჯორჯ ბუშის საქართველოში, თბილისში ვიზიტი უნდა გავახსენოთ. თბილისში იგი მოსკოვიდან ჩამოვიდა, სადაც ფაშიზმის დამარცხების 60 წლის იუბილეში ღებულობდა მონაწილეობას. მან და მსოფლიოს ლიდერებმა ფაშიზმის დამარცხებას დიდი მოვლენა უწოდეს.

ძვირფასო ნაციონალებო, ქართველების თუ არ გჯერათ, თქვენს საფიცარ ბუშს მაინც დაუჯერეთ!

# რესპუბლიკურ საავადმყოფოს 30 მილიონად ყიდიან

შორენა კოწოწაშვილი

**მ  იმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ლეიბორისტული შრომის პარტია აპროტესტებს საქართველოს მთავრობის „რეფორმისტულ" გადაწყვეტილებას საავადმყოფოების პრივატიზაციასთან დაკავშირებით.**

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ისეთი მძიმე ინფექციური დაავადებების და ეპიდაფეთქებების ზღვარზე მყოფი ქვეყნისთვის, რა მდგომარეობაშიც დღეს საქართველო იმყოფება, საავადმყოფოების გაყიდვა ყოვლად მიუღებელი და დანაშაულის ტოლფასი გადაწყვეტილებაა.

საავადმყოფოების პრივატიზაციასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და ძირითადად რესპუბლიკური და ინფექციური საავადმყოფოების გაყიდვა გააპროტესტა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სააკაშვილი და მისი მთავრობა ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში გეგმავდა ასი საავადმყოფოს მშენებლობას, რაც ფაქტია, რომ დღემდე არ განხორციელებულა. ამ ფონზე, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მთელი რიგი საავადმყოფოების პრივატიზება მისაღები იყო, რადგანაც ასი საავადმყოფოს პროექტის ფარგლებში უფრო ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო სამედიცინო მომსახურება.



როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, საქართველოში თითქმის მილიონი ადამიანი სიღატაკის ზღვარზეა და ქვეყნის პრეზიდენტი საავადმყოფოების გაყიდვაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ გაჭირვებული მოსახლეობის მკურნალობასა და მათთვის ოპერაციების დაფინანსებაზე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ქვეყანაში ღორის გრიპის ვირუსის გავრცელების ფონზე სამედიცინო დაწესებულებების გასხვისება დაუშვებელია.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელების თქმით, აუქციონი 25 დეკემბერს გაიმართება, თუმცა ხელისუფლება რეალურ ფასს მალავს და 12 მლნ-ის ნაცვლად შენობებს 30 მლნ ლარად ყიდის.

— უარი თქვით ამ უმნიშვნელოვანესი სამედიცინო ობიექტების მითვისებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმი დამარცხდება და შეიცვლება, თქვენ აუცილებლად ჩამოგერთმევათ უკანონოდ ხელში ჩაგდებული ქონება და აუცილებლად მიეცემით პასუხისგებაში, — მიმართა ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ იმ ადამიანებს, ვინც საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული აუქციონის ფარგლებში რესპუბლიკური და ინფექციური საავადმყოფოების შეძენას გეგმავს.

გუგავა დარწმუნებულია, რომ წინა საარჩევნო პერიოდში ხელისუფლება გაააქტიურებს სოციალური და სამედიცინო კუთხით მოსახლეობისთვის გარკვეული პროექტების განხორციელებას და ამით შეეცდება მაისში დაგეგმილი არჩევნებისთვის ამომრჩეველთა გული მოიგოს.

# ნორიოში ნაგავსაყრელის გადატანას რესპუბლიკელებიც აპროტესტებენ

შორენა კოწოწაშვილი

**ნორიოს მოსახლეობა ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანას აპროტესტებს და იმ ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობს, რომელიც ნაგავსაყრელის იმ ადგილზე გადატანას შეი ლება მოჰყვეს, სადაც მისი გადატანა იგეგმება.**

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა პრესკონფერენცია გამართა.



როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მოსახლეობასთან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე მიიღო.

თინა ხიდაშელის თქმით, რესპუბლიკური პარტია თბილისიდან ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანასთან დაკავშირებით ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და კულტურის სამინისტროებს სპეციალურ მიმართვას უგზავნის. ოპოზიციონერი პოლიტიკოსის თქმით, ნაგავსაყრელის განთავსება საჯარო სკოლის ახლოს იგეგმება, რაც, ბუნებრივია, ეკოლოგიურ საფრთხეებს შექმნის.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, აუცილებელია ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანამდე სრულად და საფუძვლიანად იქნეს ეს საკითხი შესწავლილი. რესპუბლიკელები შესაბამის უწყებებს სთხოვენ საფრთხეების შესასწავლად სპეციალური კვლევები აწარმოონ, რათა დადგინდეს, რამდენად უსაფრთხოა ნორიოსა და მისი მოსახლეობისთვის ნაგავსაყრელის გადატანა.

ხიდაშელის თქმით, ამ გადაწყვეტილების პარალელურად ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი იმაზე, თუ რამდენად მიაყენებს ზიანს იმ ძეგლებს, რომელიც აღნიშნული ტერიტორიის სიახლოვეს იმყოფება.

— ჩვენი დღევანდელი ბრიფინგის მიზეზი არის სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის გადატანა, რაც უკვე დაგეგმილია, გადაწყვეტილია და სამუშაოებიც მიმდინარეობს. ჩვენ დღეს ოფიციალურ მიმართვას ვუგზავნით რამდენიმე სამინისტროს, რომლებიც პირდაპირ ვალდებული არიან რეაგირება მოახდინონ და არ დაუშვან ნორიოს ტერიტორიაზე ამ ნაგავსაყრელის გადატანა, — განაცხადა თინა ხიდაშელმა და იქვე მიუთითა, რომ რესპუბლიკური პარტია ბოლომდე მიადევნებს თვალყურს, რათა ნაგავსაყრელის გამო არ შეილახოს ნორიოს მოსახლეობის უფლებები და არ შეიქმნას როგორც ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე, ისე არ დაზიანდეს ისტორიული ძეგლები.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# იანვარში ცაგარეიშვილი პრეზიდენტსა და მთავრობას უჩივლებს

ნანა მიშელაშვილი

**დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პრეზიდენტის, მთავრობისა და რამდენიმე მინისტრის წინააღმდეგ სარჩელზე მუშაობს. 20 იანვრისთვის იგი ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში სარჩელის შეტანას აპირებს.**

გუშინ ცაგარეიშვილმა პარლამენტში ბრიფინგი გამართა და იმ საკითხებზე ისაუბრა, რის გაკეთება მოახერხა 2009 წლის განმავლობაში და რის — ვერა.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა არ დაიზარა და დაითვალა, რომ 6 თვის მანძილზე 76 პრესკონფერენცია ჩაატარა. ვიდრე ეს წელი დამთავრდება, ცაგარეიშვილი რამდენიმე ბრიფინგის ჩატარებას კიდევ მოასწრებს და ამ ციფრს დაამრგვალებს.

ამ წლის განმავლობაში ცაგარეიშვილი შეხვდა 494 მოქალაქეს და 154 წერილს გასცა პასუხი. სხვადასხვა უწყებაში 79 რეკომენდაცია და მიმართვა აქვს გაგზავნილი. დეპუტატი ამბობს, რომ ჟურნალისტებს ანგარიში ჩააბარა, რა გააკეთა ამ წელს და რა — ვერა.

— პირველად ვაღიარებ იმას, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილი მქონდა, დამეტოვებინა საქართველოს პარლამენტი. პარლამენტში დარჩენა ჩემთვის ურთულესი გადაწყვეტილება იყო. დღევანდელი გადმოსახედიდან როდესაც უკან ვიყურები, ეს იყო



მართებული გადაწყვეტილება. არასდროს გამოვკიდებივარ არც ერთ თანამდებობას, არც ერთ პრივილეგიას, პარლამენტში იმიტომ ვარ, რომ ვემსახურო ამომრჩეველს, — განაცხადა ცაგარეიშვილმა და იქვე დაამატა, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას საპარლამენტო არჩევნების დროს 300 ათასმა ადამიანმა მისცა ხმა.

რაც შეეხება ცაგარეიშვილისა და სხვადასხვა უწყების თანამდებობის პირებს შორის მიმოწერას, ეს პროცესი რამდენიმე თვეა მიმდინარეობს.

ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა ამ საკითხზე კიდევ ერთხელ ისაუბრა. საუბარია სხვადასხვა სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე.

— ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მე შევიტან კონკრეტულ სარჩელს, მოპასუხედ წარმოდგენილი იქნება, სავარაუდოდ, პრეზიდენტი, მისი ადმინისტრაცია, მთავრობა და მისი თავმჯდომარე და რამდენიმე მინისტრი. მათგან მე ვერაფრით ვერ მივიღე ჩემს შეკითხვებზე პასუხები. სარჩელი მზადდება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან და პოლიტიკურ ლიდერთან ერთად. ეს ყველაფერი დასრულდება იანვრის შუა რიცხვებში და სარჩელს აუცილებლად შევიტან, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, ბოლო წერილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე 21 დღის წინ გააგზავნა, სადაც საჯარო ინფორმაციის მიღებას ითხოვდა.

— მე მაქვს კულუარული ინფორმაცია და წყაროს ვერ დავასახელებ, რომელიც მუშაობს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. გადაწყვეტილია, რომ ეს ინფორმაცია არ მომაწოდონ. კი ბატონო, მაშინ ერთმანეთს შევხვდებით სასამართლოში. გპირდებით, მოვივლი საქართველოს სასამართლოებს, „რკინის ქალამნებს ჩავიცვამ“ და შემდეგ გავეშურებით სტრასბურგში. მაინც გამოვითხოვ ამ ინფორმაციას, რადაც არ უნდა დამიჯდეს, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი ამბობს, რომ იგი აპირებს დაადგინოს, როგორ ხარჯავს მიხეილ სააკაშვილი ათობით მილიონ ლარს.

ცაგარეიშვილმა იმ საკითხებზეც ისაუბრა, რაც უფრაქციო დეპუტატების პრობლემაა. კერძოდ, საკითხი შეეხება დეპუტატის თანაშემწეებს. დეპუტატებს უფლება არა აქვთ, ჰყავდეს ანაზღაურებადი, ანუ ხელფასიანი თანაშემწეები.

გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, ეს ნაკლებ სირთულეებს უქმნის იმ დეპუტატებს, რომლებიც ფრაქციებში, უმცირესობაში ან უმრავლესობაში არიან გაერთიანებული, მაგრამ საკმაოდ ბევრ სიძნელეს უქმნის დამოუკიდებელ დეპუტატებს.

საქართველოს პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატები არიან: გიორგი ცაგარეიშვილი, ჯონდი ბაღათურია, პეტრე მამრაძე, კარლო კოპალიანი, რამაზ თედორაძე.

გიორგი ცაგარეიშვილი აპირებს, რომ პარლამენტში ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შეიტანოს, რათა დამოუკიდებელი დეპუტატების თანაშემწეების საკითხი მოგვარდეს.

— შეუძლებელია ერთი ადამიანის მიერ საკმაოდ ბევრი მასალის გადამუშავება, შეუძლებელია ამ ყველაფერს ერთი ადამიანი გასწვდეს, რომელსაც არა ჰყავს თანაშემწე. მე მოვითხოვ პარლამენტისგან, რომ იმ დეპუტატებს, რომლებიც ფრაქციაში არ არიან გაერთიანებული, გამოუყონ შესაბამისი ანაზღაურება, რომ მათ აიყვანონ თანაშემწეები, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, თვეში 2 ათასი ლარი მიუმხრობელი დეპუტატების თანაშემწეებისთვის ძალიან დიდი თანხა არ არის.

გიორგი ცაგარეიშვილს ამ საკითხზე აინტერესებს როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, ისე უმრავლესობის ლიდერების მოსაზრებები.

## საახალწლოდ შესაძლოა რუსეთ-საქართველოს შორის ავიარეისები აღდგეს

ახალი წლის დღეებში საქართველოდან რუსეთის მიმართულებით შესაძლოა საჰაერო მიმოსვლა აღდგეს. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ავია-



კომპანია „აირზენას“ საზოგადოებსთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა აღნიშნა, ამავე კომპანიამ რეისების აღდგენის თაობაზე რუსეთის საავიაციო ხელისუფლებას რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევისა და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილის შესაბამისი განცხადებების შემდეგ მიმართა.

ლაპარაკია მედვედევის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, იგი რუსეთ-საქართველოს შორის ავიარეისების აღდგენაში პრობლემას ვერ ხედავს, ასევე სააკაშვილის ოფიციალურ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, ქართულ მხარეს ფრენები არ შეუჩერებია და არც მის გახსნას ეწინააღმდეგება.

— „ავიაკომპანია “აირზენამ“ გადაწყვიტა მიემართა რუსეთის საავიაციო ხელისუფლებისათვის რეისების აღდგენაზე, კერძოდ საშობაოდ და საახალწლოდ ჩარტერული რეისების აღდგენაზე 26 დეკემბრიდან ყოველდღიურად 15 იანვარამდე. ასევე ვითხოვეთ რეგულარული რეისების აღდგენა 5 იანვრიდან, რაზეც პასუხი ჯერ არ მიგვიღია. მიგვაჩნია, რომ თუ ეს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მორიგი პიარ-კამპანია არ არის, რეგულარული რეისების განხორციელებაზე ნებართვას მალევე მივიღებთ, — აღნიშნა ნინო გიორგობიანმა.

როგორც ცნობილია, ავიაკომპანია “აირზენამ“ მოსკოვის მიმართულებით ავიარეისები 2008 წლის 8 აგვისტოს საომარი მოქმედებების გამო შეაჩერა. 9 აგვისტოს კი ავია-კომპანიამ რუსეთის საავიაციო ხელისუფლებისაგან მიიღო შეტყობინება საომარი მოქმედებების გამო ფრენების 1 სექტემბრამდე შეჩერებაზე.

**მედიანიუსი**



# ადამიანის სიცოცხლეს ხელისუფლებისთვის ჩალის ფასი აქვს

## რატომ ააფეთქეს „დიდების მემორიალი“ 2 დღით ადრე

ნონა ცაბა ე

**ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების შედეგად ტრაგედია მოხდა, დაიღუპა დედა-შვილი ჯინჭარა ეები, ერთი მამაკაცი კი მ იმედ დაშავდა. საზოგადოება ამ ფაქტმა აღაშფოთა. არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები და საზოგადო მოღვაწეები ქუთაისში ამ ფაქტის გასაპროტესტებლად ჩავიდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით ალიანსის ერთ-ერთ ლიდერ სოზარ სუბარს ვესაუბრეთ:**

— ჩვენ ჩავედით ქუთაისში, რომ გაგვეპროტესტებინა ფაქტი, რაც მოხდა და ზოგადად მართვის ის სტილი, რაც დამკვიდრდა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში, როცა ერთი ადამიანის, პრეზიდენტ სააკაშვილის ხუშტურების გამო ხდება ყოვლად დაუსაბუთებელი და მიუღებელი გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულება ყოველგვარი ფიქრისა და გააზრების გარეშე. ამ უაზრო გამოდევნებამ რაღაც თარიღებზე არაერთი ტრაგედია გამოიწვია და არაერთი პრობლემის წინაშე დააყენა როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე ჩვენი ქვეყანა მთლიანად. სწორედ ასეთი ხუშტური იყო, რომ მაინცდამაინც მის დაბადების დღეზე, 21 დეკემბერს უნდა გაჭრილიყო ახალი პარლამენტის საძირკველი, დაემთხვია ამ თარიღისთვის ძეგლის აფეთქება და ამას მოჰყვა ტრაგედია — ორი ადამიანის და მათ შორის რვა წლის გოგონას სიკვდილი. შარშან იყო და სააკაშვილს მოუნდა, დავით აღმაშენებელზე უფრო დიდი აღმაშენებელი და უფრო დიდი მეფე გამოჩენილიყო, დაიწყო ომი 7 აგვისტოს იმისთვის, რომ 12-ში დიდგორობას ეზეიმა გამარჯვება და ამით გადაეფარა დიდგორობის დღესასწაული. ის ტენდენცია, რასაც ხშირად ვისმენთ ტელევიზორიდან, რომ 2003 წლის 23 ნოემბრამდე არაფერი ყოფილა, საქართველოს ისტორია 23 ნოემბრიდან იწყება და მანამდე რაც იყო, ეს ყველაფერი იყო ბნელი და უკუნი და ამის შემდეგ არის ყველაფერი კარგი, ამას ეწირება პრაქტიკულად ადამიანების სიცოცხლეც, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც, ათიათასობით ადამიანის ლტოლვილად ქცევა და უამრავი სხვა პრობლემაც ჩნდება ამის გამო. შეიძლება ვიკამათოთ, რამდენად სწორად იყო ის აფეთქება ჩატარებული, მაგრამ თვითონ ამაზე რომ ვმსჯელობთ, ეს არის უკვე არასწორი, იმიტომ რომ რატომ უნდა ვაფეთქებდეთ ძეგლებს, როგორ შეიძლება ისტორიას ვებრძოდეთ და კულტურას ვებრძოდეთ. ეს რომ იყოს საბჭოთა კულტურის ნიმუში, ეს რომ იყოს რაღაც კომუნისტური წყობის სიმბოლო, მაშინაც კი დაუშვებელი იქნებოდა ამ ძეგლებთან ბრძოლა, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ჩვენს ისტორიას ასახავს, მაგრამ ეს ასე არ იყო, ეს იყო ძეგლი სამასი ათასი ქართველის, რომელიც ამ ომში დაიღუპა და მეორეც, ამ ძეგლზე არ იყო გამოსახული არც ჩაქუჩი და ნამგალი, არც ლენინისა და მარქსის პორტრეტები, აქ იყო გამოსახული წმინდა გიორგი, როგორც საქართველოს მფარველი, აქ იყო გამოსახული ღვთისმშობელი, რომლის წილხვედრიც არის საქართველო, აქ იყო ქართული სიმბოლოები, საქართველოს ისტორიის სიმბოლოები გამოსახული და ამ ყველაფერს გამოუცხადა ბრძოლა ჩვენმა ხელისუფლებამ.



***— ეს იყო ყველა ქართველის შეურაცხყოფაო, ასე შეაფასა ეს ფაქტი საზოგადოებამ...***

— ეს იყო ყველა ქართველის შეურაცხყოფა და საქართველოს ისტორიის უგულებელყოფა, საქართველოს ისტორიისთვის ხაზის გადასმა და მცდელობა მათი სურვილის დამკვიდრებისა, რომ თითქოსდა ექვსი წლის წინ დაიწყო საქართველოს ისტორია.

***— სააკაშვილმა მოხსნა იმერეთის გუბერნატორი, დაიჭირეს იმ კომპანიის წარმომადგენლები, რომელმაც უშუალოდ ეს სამუშაოები ჩაატარა. საზოგადოებას დაეუფლა განცდა, რომ სააკაშვილმა მათ, უბრალოდ, ხელი შეახოცა. როგორ ფიქრობთ, ამით უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი?***

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს საქმე არ იქნება გამოძიებული ან, უკეთეს შემთხვევაში, დასჯიან მეისრეებს და არა რეალურ დამნაშავეს. რეალური დამნაშავე ყველამ ძალიან კარგად ვიცით, ვინც იყო. ეს არის მიხეილ სააკაშვილი, ამიტომაც მე გუშინ გამოვედი ინიციატივით, რომ შევქმნათ საგამოძიებო კომისია, საზოგადოებრივი კომისია, რომელშიც შევლენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. გამოვითხოვოთ მთელი დოკუმენტაცია, რაც კი არსებობს ამ საქმესთან დაკავშირებით, ვინ გასცა ბრძანება, ვის და ვის შორის იყო ხელმოწერილი ხელშეკრულება აფეთქების თაობაზე, როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილებები და დავდოთ ეს დოკუმენტები, რომ საზოგადოებამ დაინახოს, ვინ არის რეალური დამნაშავე. ჟურნალისტებმა უკვე დაადგინეს, რომ ქუთაისის მერიასა და ქუთაისის საკრებულოს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია, მათ არ მიუღიათ არანაირი დოკუმენტი, მათ არ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# რატომ ვერ იღებენ დევნილები დახმარებას?!

ნანა მიშელაშვილი

დონორთა მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯვაზე გამოთქვამს პრეტენზიას „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია. გუშინ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ბაღათურიამ განაცხადა, რომ დევნილებისგან ძალიან ბევრი საჩივარია იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ვერ იღებენ მათთვის კუთვნილ 10 ათასი დოლარის დახმარებას.

— სხვადასხვა მიზეზით შარის მოდების სტრატეგიას ადგას დევნილთა და განსახლების სამინისტრო. 1500-1600 ადამიანის სია უკვე დევს და დადგენილია, რომ მათ არ მიუღიათ ეს ფულადი დახმარება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ, ამ სიის გარდა, ეს ციფრები შეიძლება გაიზარდოს. ეს არის ძალიან მძიმე მდგომარეობა და ამაზე პასუხს აგებს დევნილთა და განსახლების სამინისტრო, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ოპოზიციონერი დეპუტატი ამბობს, რომ სამინისტროსა და დევნილების ურთიერთობა ძალიან ჰგავს ცნობილ ანეკდოტს, თავზე ქუდი რატომ არ გახურავსო, იმ შემთხვევაში კი, თუ ქუდით მიხვალ, გეტყვიან, თავზე ქუდი რატომ გახურავსო.

— კანონდარღვევებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურისა და დევნილთა სახლების მოწყობა. იგულისხმება, ერთი მხრივ, მშენებლობის ხარისხი, მეორე მხრივ, ტენდერები ძალიან საეჭვო ვითარებაში ტარდება, იმიტომ, რომ ძალიან ხშირია, როდესაც ერთი და იგივე კომპანიებია გამარჯვებულები. თუ რომელიმე ტენდერში სხვა კომპანია იმარჯვებს, მერე აღმოჩნდება, რომ ეს კომპანია წინა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ არის დაფუძნებული, ანუ ერთი და იგივე ადამიანები სარგებლობენ იმ კეთილდღეობით, რასაც ჰქვია დიდი მოცულობის სახელმწიფო შეკვეთა, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ჯონდი ბაღათურიამ ბრიფინგი ანტიკრიზისული საბჭოს სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე გამართა, შუადღისას კი ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული.

„ქართული დასის“ ლიდერმა „დონორთა კონფერენციის“ მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით დარღვევებზე დონორებთან ისაუბრა.

ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე ბაღათურიამ განაცხადა, რომ დარღვევები ზოგჯერ ობიექტური, მაგრამ ზოგჯერ სუბიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

დონორების წარმომადგენლებს ბაღათურიამ წინადადებით მიმართა, რომ მოხდეს უკვე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ექსპერტული შეფასება, მოხდეს ხარჯთაღრიცხვის შეფასება და სატენდერო წინადადებების შესწავლა.

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარის გია თორთლაძის განმარტებით, აღნიშნული პრეროგატივა ანტიკრიზისულ საბჭოს არ გააჩნია. მისი თქმით, დევნილებთან დაკავშირებით მდგომარეობის დარეგულირების პროცესი დაწყებულია და ამის გამო აღნიშნულ საკითხზე მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია თებერვალ-მარტში მოხდება.

ანტიკრიზისული საბჭოს სხდომას აშშ-ის, საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოების, ასევე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები და რეგიონული განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ირაკლი დოკვაძემ ელზა გულიაშვილის დაკითხვა მოითხოვა

## „თუ ამას არ გააკეთებთ, ჩვენებას არ მოგცემთ“

გულიკო ბალა ე

**საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ეკა არეში ის თავმჯდომარეობით ირაკლი დოკვა ის სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც დაზარალებულ ელზა გულიაშვილის დაკითხვის საკითხი დადგა.**

ელზა გულიაშვილის დაკითხვის შუამდგომლობა თვითონ ბრალდებულმა ირაკლი დოკვაძემ დააყენა. ელზა გულიაშვილი გახლავთ ფალიაშვილის ქუჩა №90-ში მომდარი დანაშაულის დროს დაზარალებული, რის გამოც გამოძიება ირაკლი დოკვაძეს ედავება.

ირაკლი დოკვაძე კი მის მიმართ წაყენებულ ამ ბრალდებას (გოჩა კვირჭიშვილისა და ელზა გულიაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობა) იდიოტურად მიიჩნევს. დოკვაძის თქმით, მაშინაც მართალი იყო, როცა სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით ჩასვეს და ახლაც მართალია.

ბოლო სასამართლო სხდომაზე მოწმე თამუნა უნდილაშვილი დაიკითხა. იზოლდა გაბუნიამ შვილი, დაზარალებული გოჩა კვირჭიშვილი, მასთან ერთად იპოვა ბინაში, მას შემდეგ, რაც ელზა გულიაშვილი სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში წაიყვანა.

მოწმე თამუნა უნდილაშვილმა განაცხადა, რომ ელზას საავადმყოფოში გადასაყვანად სასწრაფო მან გამოუძახა. მისი წაყვანის შემდეგ, იზოლდა გაბუნია დაახლოებით 5 წუთი იჯდა სადარბაზოს კიბეებზე, შემდეგ კი მას აჰყვა ზევით, ბინაში, საიდანაც 5 წუთის წინ ელზა საავადმყოფოში წაიყვანეს.

თამუნა უნდილაშვილი:

— მე გასარემონტებელი ბინის „ზალაში“ გამოვედი და გავედი სამზარეულოს მხარეს და დავინახე ფეხები. იზო მეორე მხრიდან შემოვიდა. თითქმის ერთდროულად შევედით... ის ყვიროდა, მე კი სხვა ოთახში გავედი („ზალაში“) და ფანჯარაში დავიწყე ყვირილი, ჩქარა, კაცი იღუპება-მეთქი... სამზარეულოს ფანჯარასთან, სადაც გოჩა ვიპოვეთ, გრძელი მაგიდა იყო და ვერ მივუდგებოდი, იქიდან, რომ დამეძახა სასწრაფოსთვის. თან ფანჯარას ვერ გავაღებდი, რადგან ზედ რაღაც ეყარა... ჩემს იქ ყოფნაში გოჩასთვის არავის დაურეკავს.

თამუნა უნდილაშვილმა სასამართლოს მოახსენა, რა მდგომარეობაში იპოვეს გოჩა კვირჭიშვილი.

— გოჩა პირაღმა იწვა. დიდი რაოდენობით სისხლი შედედებული იყო. „ნასილკაზე“ გადაიყვანეს და სისხლი ისევ წასკდა. ის პირდაპირ იყო უკან გადავარდნილი. პულსი რომ გავუსინჯე, თვალები გამაყოლა. როცა სასწრაფო მოვიდა, შემდეგ შეეკრა კრიჭა.

აქ ირაკლი დოკვაძემ ჰკითხა:

— ყურში სისხლი ხომ არ ჰქონდა?

— არ ვიცი, — უპასუხა მოწმემ.

გოჩა კვირჭიშვილმა თავის დროზე დაკითხვისას სასამართლოზე განაცხადა, რომ მას ერთ ყურში სმენა არ აქვს. მეორეში სისხლი ჩაუვიდა, მაგრამ მაინც გაიგონა ელზას ხმა და დაინახა ირაკლი დოკვაძე. ამ განცხადებით გოჩა კვირჭიშვილმა თავი დაიხსნა, რადგან პატიმრობა ელოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისთვის. განაჩენს კი მისი პირველი პატიმრობა დაუმძიმებდა. კვირჭიშვილი ნასამართლევია საპატრიარქოსთვის 600 დოლარის მოპარვისთვის.

მოწმემ განაცხადა, რომ როცა იზოლდა გაბუნია კიბეზე იჯდა, მას ხელში ტელეფონი ეჭირა, მაგრამ არ იცის, ვინ დაურეკა. იზო გაბუნიას კი უთქვამს, გოჩას ვურეკავ, ზარი გადის, მაგრამ არ პასუხობსო.

— შეიძლებოდა თუ არა, სამზარეულო ოთახში რომ არ შესულიყო, იზოლდა გაბუნიას დაენახა გოჩა?

— ვერ დაინახავდა, — უპასუხა მოწმემ.

წინა სასამართლო პროცესებზე ელზა გულიაშვილის დებმა განაცხადეს, რომ იზოლდა გაბუნია სამზარეულოსთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა და კარი გამოხურა.ამიტომ ირაკლი დოკვაძე მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატების თანდასწრებით, საქმეში არსებული ფოტომასალით მოწმესთან ერთად შეეცადა გაერკვიათ, რა როგორ იყო. მოწმემ თქვა, რომ იზოლდა გაბუნია საიდანაც შევიდა სამზარეულო ოთახში მისი იქ ყოფნის დროს (როცა გოჩა ნახეს დაზიანებული), შეიძლებოდა დაენახა გოჩა კვირჭიშვილი. თუ იქითა მხრიდან შევიდოდა ვინმე, დაინახავდა დაზარალებულ გოჩა კვირჭიშვილს. ელზა რომ ნახეს, მისი იქ ყოფნის



დროს იზოლდა გაბუნია იმ ოთახში არ შესულა, სადაც იპოვეს დაზარალებული კვირჭიშვილი. მაგრამ მან აღნიშნა, რომ ბოლომდე იქ არ ყოფილა, რადგან სასწრაფოს გამოსაძახებლად იყო წასული და ზუსტად არ იცის, სამზარეულო ოთახში შევიდა თუ არა გაბუნია და დაინახა თუ არა იქ გოჩა კვირჭიშვილი.

გოჩა კვირჭიშვილმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ მას უკანა მხრიდან მაშინ დაარტყეს, როცა სამზარეულო ოთახის ფანჯრიდან გადაიხედა დაბლა, მექორწილეებს მიულოცა და ფანჯარას ხურავდა. ფოტომასალითა და მოწმე თამუნა უნდილაშვილის ჩვენებით ირკვევა, რომ კვირჭიშვილი ტყუის, რადგან სამზარეულოს ფანჯარას ვერ გააღებდა.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დაისვა პროცესზე და ყველაფერი გარკვეული იყო, მაგრამ პროკურორმა მაინც ჰკითხა მოწმეს:

— კაცი მაგიდაზე რომ გადაწვეს და ისე გამოაღოს ფანჯარა, არ შეიძლება?

— ჭუჭყიანი მაგიდა იყო, ვერ გადაწვებოდა, — უპასუხა მოწმემ.

მანვე განაცხადა, რომ ტელეფონი სასტუმრო ოთახში იპოვეს.

მოწმის ჩვენებით, „კვირჭიშვილს ფეხები მაგიდის მხარეს ჰქონდა, თავი კი — აქეთ“. ეს ჩვენება იმის დასადგენად არის მნიშვნელოვანი, შეეძლო თუ არა ფანჯრისკენ მიბრუნებულ გოჩა კვირჭიშვილს დაენახა, ვინ დაარტყა თავში.

პროცესზე ირაკლი დოკვაძემ პროკუ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ოპოზიცია 7 წლამდე ბავშვების უფასო მკურნალობას მოითხოვს

ნანა მიშელაშვილი

„ქრისტიან-დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ 7 წლამდე ბავშვების მკურნალობას სახელმწიფო უნდა ანაზღაურებდეს. გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა „ქრისტიან-დემოკრატმა“ მაგდა ანიკაშვილმა და მცირეწლოვან ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაზე ისაუბრა.

— სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი და უნდა იზრუნოს ბავშვთა ჯანმრთელობაზე, სანამ მათი იმუნური სისტემა არ ჩამოყალიბდება და სხვადასხვა დაავადების გართულების საფრთხე ნაკლები იქნება. ასეთი ოპტიმალური ასაკი, სპეციალისტების მოსაზრებით, 7 წელია, — აღნიშნა ანიკაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი ამბობს, რომ გაუგებარია, რას ეფუძნება დღეს ასაკობრივი ბარიერი, რომელიც 3 წელზე გადის, რადგან როგორც სამი, ისე ოთხი წლის ბავშვის მიმართ მიდგომა და ყურადღება თანაბარი უნდა იყოს, რადგან რისკები დაავადებათა გართულების თანაბარია.

— გაუგებარია, რა ლოგიკით სარგებლობს მთავრობა, როცა აფინანსებს 3 წლის ბავშვებს და უარს ეუბნება 4 წლის ბავშვებს. ამიტომაც ლოგიკურია, რომ 7 წლის ბავშვების მკურნალობას სახელმწიფო უნდა ანაზღაურებდეს, — განაცხადა ანიკაშვილმა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ პირველ ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს დაავადებათა პრევენციისა და ამბულატორიულ მომსახურებაზე, ხოლო შემდეგ ახალი მიდგომა უნდა გავრცელდეს ჰოსპიტალურ სექტორზე.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ ითხოვენ, რომ თავდაპირველად ცვლილება შეეხოს პოლიკლინიკების დაფინანსების წესს, ხოლო შემდეგ — სხვა სამედიცინო დაწესებულებებს.

ოპოზიციური ფრაქციის ინიციატივის განსახორციელებლად აუცილებელ ფინანსურ გათვლებს „ქრისტიან-დემოკრატები“ ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციების დაწყების შემდეგ წარმოადგენენ.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციებს იანვრიდან დაიწყებენ.

# სუფრული პატრიოტიზმი სამარხვო ტორტით

გიორგი უ ილაური

## რატომ არის ღალატი რუსული ფილმების ყურება

**„დიდების მემორიალის" აფეთქებამ შეაშფოთა ქართველი საზოგადოება, მაგრამ შეშფოთებისა და აღშფოთების იქით საქმე ჯერ არ წასულა, ქუთაისის მოსახლეობამ გუშინ პროტესტი მხოლოდ ოპოზიციას გაუბედა და, როგორც სახელისუფლებო ტელეარხებმა განაცხადეს, მხარი დაუჭირა მემორიალის ადგილას პარლამენტის აშენებას. დანარჩენი საზოგადოება კი სხვა საქმეებით იყო დაკავებული, უკვე მერამდენედ ის პასიურ პოზაში რჩება. შესაბამისად, საქართველოც კვლავ ტოტალიტარული სახელმწიფოა.**

ვერც ოპოზიციამ, ვერც დამოუკიდებელმა არასამთავრობო სექტორმა, ვერც თავისუფალმა მედიამ და ვერც საზოგადოებამ ვერ გამოიტანა უმთავრესი დასკვნა: — იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიო ხელისუფლებას, უნდა იცოდე რა სურს მას, როგორ მოქმედებს და რა სუსტი წერტილები აქვს. საქართველოში ამისთვის არ სცალიათ, სამაგიეროდ, სცალიათ მოგუდული ბუზღუნისთვის, „მიშა, წადი!"-ს სკანდირებისა და საქართველოს ბედიღბლის სუფრასთან განხილვისთვის.

სუფრას ისევ დავუბრუნდებით, მანამდე, რამდენადაც გულდასაწყვეტი არ უნდა იყოს ბევრისთვის, უნდა ითქვას, რომ სააკაშვილმა ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, მშვენივრად იცის რა სურს, როგორ მოქმედებს და რა სუსტი წერტილები აქვს ოპოზიციასაც, არასამთავრობოებსაც, თავისუფალ მედიასაც და მთლიანად საზოგადოებასაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელსა და უმთავრესს, პასუხები ძალიან მარტივია: საზოგადოებამ თავად არ იცის რა სურს, არ იცის, როგორ იმოქმედოს და არც საკუთარ სუსტ წერტილებშია ჩახედული. ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ სუფრას, რომელიც ბოლო ასწლეულის განმავლობაში ქართველის ქართველობის ყველაზე მყარი და ამავდროულად ყველაზე გამზარმაცებელი პრიორიტეტია. უფრო მეტიც, მთელი ქართული, ჰეროიკული ისტორიით შემოსილი, რომანტიზმით, მისტიკითა და განსაკუთრებულობის ურყევი რწმენით შეფერუმარილებული პატრიოტიზმი რეალურად სუფრაზე იწყება და სუფრაზევე სრულდება. „სუფრული პატრიოტიზმი" ერთგვარი ნარკოტიკია, რომლის მიღებით საშუალოსტატისტიკური ქართველი პატრიოტი იკმაყოფილებს ერთან აქტიური კავშირის გრძნობას და თავს ვალმოხდილად თვლის სამშობლოს წინაშე: — სუფრის წევრებმა ხომ მოისმინეს მისი მგზნებარე გამოსვლა საქართველოს ერთიანად და მისი ცალკეული კუთხეების სადღეგრძელო, მკვდრები ხომ მოიგონეს, სანათესაო ხომ დალოცეს, პატრიარქის დღეგრძელობაც ხომ არ დავიწყებიათ, ჰოდა, ვალიც მოხდილია! 3-4 საათში პატრიოტიც ხარ, კაი შთამომავალიც, კაი ნათესავიც და მგზნებარე მართლმადიდებელიც!

დავიწყოთ ქართველების მართლმადიდებლობით, რომელსაც დიდი ხანია მიზანმიმართულად ებრძვის სააკაშვილი და მისი გუნდი. არა, იმიტომ კი არა, რომ გრიგორიანელებად უნდა გადაგვნათლონ, უბრალოდ იმიტომ, რომ ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე ჯობნის და ხელს უშლის სააკაშვილის რეჟიმის ტოტალურ გავლენას. საზოგადოების უდიდესი ნაწილი აღშფოთებულია ხელისუფლების ასეთი ქცევით, მაგრამ ბოლო დროს ეს აღშფოთებაც მოგუდული ჩანს, ჩანს იმიტომ, რომ უჭირთ უარყონ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ეპისკოპოსი მართლაც არ ჰგავს მრევლზე ლოცვაში დაჩიავებულ მარტვილს. მაგრამ არც ესაა მთავარი, მთავარი თავად ქართველი საზოგადოების ზედაპირული დამოკიდებულებაა მართლმადიდებლობისადმი, ზედაპირული რწმენა იწვევს ამ რწმენის ზედაპირულ დაცვას. ეკლესიაში სიარული კი მხოლოდ ლამაზ რიტუალად აქცია ბევრმა, ისევე როგორც უკვე ბუნებრიობად ქცეული კდემანარევი სიამაყით ნათქვამი „მარხვაზე ვარ". მარხვაზე ყოფნა რთული არაა, რადგან საქართველოში არსებობს „სამარხვო ტორტი", სამარხვო კატლეტი, სამარხვო მენიუ და ა.შ. ეს „სამარხვო ტორტის მრევლი" კი ვერანაირად ვერ იქნება ეკლესიის დამცველი იმ მარტივი მიზეზით, რომ ფარისევლობს მარხვაშიც და აღსარებაშიც, შესაბამისად, ფარისევლობს რწმენასთან ურთიერთობაში. ამგვარ ფარისეველს ჯიქურ რომ მიადგე ბულდოზერით და ეკლესია დაუნგრიო, გაბრაზდებიან, მაგრამ ნელ-ნელა, მიზანმიმართულად რომ ჩაუნერგო — ეკლესიურობა მოდაში აღარაა, — მანდ კორუფციაა და ფუნდამენტალური სიბნელეო, მაშინ მიზანს მიაღწევ. ამ მხრივ არსებული რეჟიმი პირველ რიგში ახალგაზრდობაზე მუშაობს და ეკლესიის კრიტიკას ამკვიდრებს პროგრესულობად. ასაკოვნებთან უფრო რთულია, მათი დიდი ნაწილი არაა „სამარხვო ტორტის" კლიენტი, მაგრამ ასაკოვანი ხალხი წამსვლელია, ახალგაზრდობა — მომსვლელი, სულ რაღაც 10 წელიწადში ეკლესიის გავლენა, დღევანდელ ტემპებში განახევრდება.

რამდენადაც არ უნდა უარვყოთ, ფაქტია, რომ სულ რაღაც 2 წლის წინ „თავისუფლების ინსტიტუტი" ვერ გაბედავდა იმას, რაც დღეს გაბედა, ერთი პერიოდი მოსახლეობა ვითომ შეწუხდა, მაგრამ 2 კვირაში გადაუარა, 1 კვირის შემდეგ კი იგივე ინსტიტუტმა კითხვები გაამზადა და დააპიარა. ასევე ძნელია უარყო, რომ ამ კითხვებმა შედეგი არ გამოიღო, ახალგაზრდობის მცირე ნაწილმა აიტაცა ეს ავანტიურა, ზოგიერთმა თავისუფლად მოაზროვნემ კი ულტრარადიკალური გზა აირჩია და მოითხოვა სატანიზმის — როგორც რელიგიური მიმდინარეობის აღიარება, რადგან მისი აზრით, სატანიზმიც აზრის გამოხატვის თავისუფლებაა.

ნელ-ნელა სააკაშვილის გუნდი ახერხებს საზოგადოების ტრანსფორმაციას, სხვა საკითხია უკეთესისკენ თუ უარესისკენ, მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერის 1000 კაციანი ჯგუფი ახერხებს დანარჩენი 4 მილიონის მსოფლმხედველობის ცვლას როგორც აწმყოსა და მომავალზე, ასევე იმ წარსულზე, რომლითაც აქამდე ამაყობდა ეს ერი. გამოდის, რომ ან საერთოდ ადამიანია ძალიან სუსტი პროპაგანდის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების წინაშე, ან ქართველებს არ გვქონია საკმარისად მყარი წარმოდგენები არც წარსულზე, არც აწმყოზე და არც მომავალზე. ჩვენ შემთხვევაში შესაძლოა ორივე ერთად, პლუს განათლებისადმი ზერელე დამოკიდებულება. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ საშიშია ის, რაც „ჩვენთვის უცნობია" და მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველები, ყველაფერს, მათ შორის ისტორიას, განათლებას, ინფორმაციას, მიმდინარე მოვლენებსა და მომავლის პერსპექტივას ზერელედ ვუყურებთ ან უბრალოდ, გვეზარება ფიქრი. რა ჯობია ისტორიაზე საუბრისას გავიხსენოთ ალმაშენებელი ან თამარი და არ ვახსენოთ, რომ დანარჩენ მეფეთა 80% დღევანდელი საქართველოს სხვადასხვა ნაწილს მართავდნენ. გვითხრეს, რომ პირველი ევროპელები ქართველი მზია და ზეზვა იყვნენ და ჩვენც ეს ავტომატურად ისტორიის სახელმძღვანელოში ჩავსვით, ისე, რომ არ დავფიქრდით, რა სხვაობაა „ჰომო საპიენსსა" და „ჰომო ერექტუსს" შორის. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ გვაქვს საბაბი ვიამაყოთ ქართველობით და ევროპელობით. კიდევ კარგი, დანარჩენ მსოფლიოში არ იციან, რომ საქართველოში სერიოზულად მსჯელობენ ღვთისმშობლის და, შესაბამისად, ქრისტეს ქართველობაზე, თუმცა ბევრი ქართველი ამას მათ გაუნათლებლობას მიაწერს. ხშირად გავიგებთ მოთქმას — მსოფლიომ არ იცის, რომ ღვინო ქართული სიტყვაა, რომ რუსეთის მეფე პეტრე პირველი ქართველის ნაბიჭვარია და რომ განკითხვის ოფიციალური ენა ქართული იქნება!

ასეთი ზედაპირული მითებითა და სტერეოტიპებით გამოზრდილი საზოგადოება, რა თქმა უნდა, კოლექტიურად ჩაქოლავდა ასტაფიევს მისი წერილისთვის და, რა თქმა უნდა, ადვილი სამიზნე იქნებოდა „თავისუფლების ინსტიტუტისთვის". გაუნათლებელ, ზედაპირულად ინფორმირებულ და ზღაპრებით მანიპულირებად ადამიანს ძალიან ადვილად მოერევა განათლებული, მოტივირებული და არგუმენტირებული ადამიანი, მიუხედავად იმისა, სიკეთისთვის იყენებს ეს უკანასკნელი თავის განათლებას, მოტივაციასა და არგუმენტებს თუ ბოროტებისთვის. უბრალოდ, ქართველმა საზოგადოებამ არ იცის არც თავისი რეალური არსი, არც ისტორია, არც აწმყო და, შესაბამისად, არც მომავლის პერსპექტივა. განათლებისთვის არ სცალია, პატრიოტიზმს სუფრასთან აჩენს, ფიქრი ეზარება და რაც ყველაზე სამწუხაროა, თვლის, რომ ამას მის ნაცვლად სხვა, მაგალითად, ახალი მესია, ბელადი ან სადმე ნაპოვნი მეფე უნდა აკეთებდეს. სხვათა შორის, ახლახან, ერთ-ერთ ტელეშოუში პლეიბოის ქართველმა მოდელმა ნახევარ საათში წერტილი დაუსვა მეფობის ერთ-ერთ, თუნდაც თეორიულ, მაგრამ კანდიდატს. და ეს ქვეყანაში, სადაც ახლახან შიშველი სხეულის შემცველ ბილბორდებს არ ახარებდნენ და მონარქიის აღდგენაზე იმედით საუბრობდნენ. ჰოპ და დამთავრდა მეფის ისტორია, ეს გააკეთა პლეიბოის მოდელმა, მართალია ტელეარხის და, შესაბამისად, ხელისუფლების დახმარებით, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ვინ აუკრძალა კორვალოლის და ვალიდოლის გამოშვება ქართულ ფარმაცევტულ საწარმოებს?

რამდენიმე ხნის წინ ქართულ ფარმაცევტულ საწარმოებს აეკრძალათ ცნობილი საბჭოთა ბრენდების კორვალოლის და ვალიდოლის გამოშვება. ამის მიზეზი გახდა მადრიდის პროტოკოლის საერთაშორისო საპატენტო ბიუროდან მოსული ბრძანება, რომელიც მიუთითებს, რომ კორვალოლის და ვალიდოლის ბრენდი ამიერიდან მთელ მსოფლიოში ეკუთვნის უკრაინულ ფარმაცევტულ კომპანია "ფარმაკ"-ს და მხოლოდ მას შეუძლია ამ წამლების ამ სახელებით გამოშვება. ამის შემდეგ ქართული ფარმაცევტული საწარმო "თბილქიმფარმი", რომელიც 30 წელზე მეტია უშვებს კორვალოლს და ვალიდოლს, იძულებული გახდა, შეეწყვიტა მათი წარმოება. ასევე ქართულმა წარმოებამ "ნატურფარმი" კორვალოლის სახელით ვეღარ გამოუშვა და კორვალნატი დაარქვა. უკრაინული ქარხანა "დარნიცის ვალიდოლი" საქართველოში ამჟამად მედილოლის სახელით შემოდის. შეცვლილი სახელით კი მედიკამენტი გაცილებით ნაკლები რაოდენობით იყიდება, რაც ამ წარმოებებისთვის პირდაპირი ზარალია, ხოლო პატენტის მფლობელს საშუალებას აძლევს ფასი გააძვიროს და ასეც ხდება. ამჟამად რუსული და უკრაინული ფარმაცევტული ქარხნები მუშაობენ ისეთი ცნობილი საბჭოთა ბრენდების დასაპატენტებლად, როგორებიცაა: **ციტრამონი, ანალგინი, ასპარკამი, კოკარბოქსილაზა, ლევომიცეტინი, რიბოქსინი, კლოფელინი, კორდიამინი, გიოქსიზონი, ნოვოკაინი, ოქსოლინი, სინტომიცინი, სტრეპტოციდი, ეუფილინი, რაუნატინი, ანაპრილინი.** თუ მათ მოახერხეს საერთაშორისო პატენტის მიღება, კორვალოლის და ვალიდოლის მსგავსად, ქართულ წარმოებებს ამ მედიკამენტების წარმოებაც აეკრძალებათ. ამიტომ ჯობია, რომ ეს სახელები ქართულმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა დააპატენტონ და აღარ იყვნენ დამოკიდებული რუსულ და უკრაინულ ქარხნებზე.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა", გაზეთი „ახალი თაობა"

## ადამიანის სიცოცხლეს ხელისუფლებისთვის ჩალის ფასი აქვს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გაუფორმებიათ არანაირი ხელშეკრულებები, უკვე ეს არის დარღვევა, იმიტომ რომ ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, ვისაც ჰქონდა უფლება, ეს გადაწყვეტილება მიეღო, იყო ქუთაისის საკრებულო. არც გუბერნატორს, არც ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, მიეღო რაიმე გადაწყვეტილება. ასე რომ, ეს ყველაფერი ჩვენ უნდა გავარკვიოთ. ასეთ დროს რომ დამნაშავეები დაუსჯელები რჩებიან, ამის ძალიან კარგი მაგალითი გვაქვს „რუსთავი 2"-ის ჩამონგრეულ შენობასთან დაკავშირებით, რომელსაც ორი ადამიანი ემსხვერპლა. ამის შედეგად არავინ დასჯილა, არადა, ძალიან ნათლად არის გამოკვეთილი სერიოზული დარღვევები, ისიც ვიცით, რატომ არ დაისაჯა არავინ, იმიტომ რომ იმ კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელიც აშენებდა, გიგა ბოკერიას ცოლისდაა, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი — ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის მეუღლე. სწორედ ეს არის პრობლემა. ამ ადამიანების ხუშტურებს, ამ ადამიანების უცოდინრობას, ამ ადამიანების სურვილს, იშოვონ დიდი ფული, ეწირება ადამიანების სიცოცხლე. ჩვენი საზოგადოება ისე შეეჩვია ამას და ისეა დათრგუნული, თითქოს პროტესტის გრძნობაც აღარ არის, ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

***— ყველას ეგონა, რომ ქუთაისში გრანდიოზული საპროტესტო აქცია გაიმართებოდა, თუმცა ქუთაისის მოსახლეობა არ გამოვიდა. რით ხსნით ამას?***

— სწორედ ეს არის პრობლემა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოება დათრგუნულია, თუმცა ისიც ბევრჯერ გვინახავს, რომ ქართველი საზოგადოების დიდხანს გატეხა შეუძლებელია. 2006 წელს, 2007 წლის დასაწყისში ყველაზე ხალხმრავალი მიტინგი შეიძლება ყოფილიყო რამდენიმე ასეული კაცი. გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით პირველ მიტინგზე 13 კაცი გამოვიდა, მაგრამ 2007 წლის 2 ნოემბერს ასიათასობით კაცი იდგა რუსთაველზე, ხომ? ანუ ქართველი საზოგადოება არ არის ის საზოგადოება, რომელიც დიდხანს ეგუება უკანონობას, წარმატებას რომ ვერ მიაღწევს, გულგატეხილობის გრძნობა ეუფლება, მაგრამ მალე ისევ იწყებს ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც ასე მოხდება.

***— სხვათა შორის, კეთდებოდა პროგნოზები, რომ ქუთაისში მომხდარი ფაქტი შეიძლებოდა გამხდარიყო იმ დიდი ტალღის დასაწყისი, რაზეც ოპოზიცია საუბრობდა...***

— ისევ ვიმეორებ, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით პირველ საპროტესტო აქციაზე 13 ადამიანი იყო. ეს არაფერს ნიშნავს. ხელისუფლების პროპაგანდა საოცრად მუშაობს. ჯერ პროტესტი არავის გამოეთქვა, ჯერ აფეთქების ნამსხვრევები ბოლომდე არ იყო მიწაზე დაცემული და იმ ორი ადამიანის გვამი არ იყო გაციებული, რომ ხელისუფლების პროპაგანდისტებმა დაიწყეს ყვირილი და კივილი, ატეხეს გნიასი, რომ ეს ფაქტი არავინ უნდა გამოიყენოს პოლიტიკური მიზნებისთვის, ეს ტრაგედია არ უნდა გახდეს პოლიტიკური სპეკულაციის საგანი. უაზრო, სპონტანური გადაწყვეტილებებით სჩადიან საშინელებებს და მერე იმის უფლებაც არა გვაქვს, გავაპროტესტოთ ეს გადაწყვეტილებები?! ტრაგედიაც რომ არ მომხდარიყო, ის, რომ ძეგლს აფეთქებ, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პროტესტი გამოვთქვათ?! ვიღაცები გამოდიან აქ და კიდევ ჭკუას გვასწავლიან. მათი თავხედობა სადამდე უნდა გაგრძელდეს, როდემდე უნდა ვითმინოთ?!

***— თავდასხმა საუკეთესო თავდაცვააო და ჩვენი ხელისუფლებაც ამ პოზიციით გამოდის...***

— ზუსტად რომ აქედან გამოდიან და გამოსდით კიდეც. ერთადერთი, რასაც აკეთებენ, ეს არის თავდასხმა, ცილისწამება და მოწინააღმდეგისთვის ლაფის დასხმა, მეტი არაფერი იციან.

***— ითქვა ისიც, რომ მოსახლეობამ არ იცოდა, აფეთქება იმ დღეს უნდა მომხდარიყო, საზოგადოება ინფორმირებული არ იყოო...***

— ყველამ იცოდა, რომ ეს 21 დეკემბერს იყო დაგეგმილი, სააკაშვილის დაბადების დღეზე, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ იმ დღეს იქ ოპოზიცია აპირებდა ჩასვლას, მოულოდნელად გადმოსწიეს ორი დღით ადრე. ასეთ აფეთქებებს გარკვეული მომზადება უნდა. მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ იქ რაღაც ზომები დარღვეული ყოფილიყო. დღეს სირცხვილი ის არის, იმაზე რომ ვლაპარაკობთ, რამდენად კარგად ააფეთქეს და არა იმაზე, რომ ის აფეთქება იყო დანაშაული, მაგრამ, დავუშვათ, გავიარეთ პირველი ეტაპი, გადაწყდა აფეთქება და, როცა ამხელა მონუმენტს ააფეთქებ, შეუძლებელია ააფეთქო ისე, რომ ნამსხვრევი არ გაცვივდეს არსად. ეს შეუძლებელია და დაიჭირო ამფეთქებელი და არ მოსთხოვო პასუხი, ვინც ბრძანება გასცა, ასე სასწრაფოდ ააფეთქეთო, ვინც არ მოახდინა მოსახლეობის ევაკუაცია, ეს არასწორია. ეს არის ისევ მეისრეების ძებნა, რომლებზეც ჯოხი უნდა გადატყდეს.

***— იმ დღესვე შემთხვევის ადგილას გაჩნდა ბანერი, რომ აქ აშენდება პარლამენტის შენობა. ეს რამდენად ზნეობრივი საქციელი იყო?***

— ეს არის იმის ნათელი გამოხატულება, რომ მიხეილ სააკაშვილსა და ამ ხელისუფლებას ადამიანის სიცოცხლე ჩირად არ ულირს, ადამიანის სიცოცხლე მათთვის არ არის ღირებულება, ადამიანი საერთოდ არ წარმოადგენს მათთვის არაფერს, მათთვის მთავარია, თავი დაიმკვიდრონ ისტორიაში და სხვაზე არაფერზე ფიქრობენ. მათი მიდგომა არის ასეთი, რომ როცა ხეებს ჭრიან, იქ ნაფოტები ცვივა და ეს არ არის დიდი დანაკარგი. ბუნებრივია, ნაფოტი დაცვივდება, ღმერთმა მაპატიოს ასეთი შედარება, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე მათთვის ნაფოტია, რომელსაც არა აქვს არანაირი ღირებულება.

ნათია ხურცილავა

# პროტესტის ახალი ტალღა აუცილებლად დაიწყება!

## დემონტაჟი ძეგლებს კი არა, ხელისუფლებას სჭირდება

**რეჟისორი გოგი ქავთარაძე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას აპროტესტებს. მისთვის გაუგებარია, რატომ ითმენს საზოგადოება და რატომ არ აფიქსირებს თავის პოზიციას. მისი თქმით, დღეს საქართველოს სძინავს.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული აკადემია“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ხშირად აქტიურად არის ჩართული. აკადემიის წევრები თავიანთ პოზიციას ხშირად ხმამაღლაც აფიქსირებენ.

გასულ კვირას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, მათ შორის „ქართული აკადემიის“ წევრებმა, ოპოზიციას მერის ერთ კანდიდატზე შეთანხმება ურჩიეს, შეიძლება ითქვას, მოსთხოვეს. რამდენად გაითვალისწინებს ამას ოპოზიცია, რთული სათქმელია.

„ახალი თაობა“ „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელს გოგი ქავთარაძეს ესაუბრა:

***— ბატონო გოგი, ქუთაისში იყავით ჩასული, რა მდგომარეობა დაგხვდათ?***

— ქუთაისში ვიყავით ჩასული, მაინტერესებდა, რა ხდება ქუთაისში და ქუთაისის საზოგადოება როგორ აფასებს მომხდარ მოვლენას. როდესაც ეს მემორიალი გახსნეს, მაშინ ქუთაისში ვმუშაობდი მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორად. ძეგლის გახსნის რეჟისორი ვიყავი. უნდა გითხრათ, რომ ის პულსაცია, რომელიც დამხვდა, აბსოლუტურად არ შეეფერებოდა იმ სიტუაციას, რაც ამ ძეგლის აფეთქებას მოჰყვა. აფეთქებული ძეგლის ირგვლივ რამდენიმე კინკილა ადამიანი მიდიმოდიოდა. ვერ ვნახე საზოგადოება, იქ არ იყო მწერლობა, თეატრი. შეიძლება ჩვენი წამოსვლის მერე მივიდნენ, არ ვიცი. მე კი მეგონა, რომ იმდენი ხალხი დამხვდებოდა, რამდენიც მემორიალის გახსნის დროს იყო. ვიღაც იქსები, წიკლაურები და ვილაცეები გამოდიოდნენ ტელევიზიით და ამბობდნენ ისეთ რამეს, რაც თითქოს



ჩვენ სულ არ გვესმის. მიზანმიმართული ნგრევა ხდება ეროვნული საგანძურის. რისთვის, არ ვიცი. არ ვიცი, ვიღაცის დაკვეთას ასრულებენ თუ რა ხდება! ყველაფერი უნდა მოისპოს. მეგონა, რომ ისეთი მძლავრი მოძრაობა იქნებოდა, რომ ეს ქვეყანაში პოლიტიკას შეცვლიდა, მაგრამ ეტყობა ჩვენი ხალხი, აკაკი წერეთლის არ იყოს, თუმცა მე ამის თქმის უფლება არ მაქვს, რადგან ეს უნდა დაიმსახურო. არ მინდა ხალხს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ გული ძალიან გამიტყდა და ამიცრუვდა.

***— საზოგადოებაში მუხტი რომ არ არის, ეს ნაწილობრივ ოპოზიციის „დამსახურებაც“ ხომ არ არის?***

— დავუშვათ, მე დავეთანხმე ამ მოსაზრებას, სანამ ეს მოხდებოდა, შეიძლება, ამ განწყობაზე ვიყავით, მაგრამ ის რაც მოხდა, არ არის აღშფოთების მიზეზი? აქ მუხტი რა შუაშია. ღმერთმა ასი წელი აცოცხლოს, მაგრამ რამე რომ დაემართოს მერაბ ბერძენიშვილს, მაშინაც მუხტზე გვექნება საუბარი? როდის უნდა ამოვიღოთ ხმა? ჩვენი ხელისუფლების საქციელი ხომ არის აღმაშფოთებელი. რისი გულისთვის დაიღუპა ორი ადამიანი? — გეკითხებით! იოტის ოდენა გამართლება მაინც აქვს ამ ადამიანების გარდაცვალებას. ყველაფერში არაპროფესიონალიზმი ხომ არ შეიძლება. რა ჩადეს ამისთანა, რა ასაფეთქებელი მასალა იყო ასეთი.

***— როგორც ვიცი, მერაბ ბერძენიშვილი ცუდად არის და ძალიან განიცდის მომხდარს...***

— იცით, რომ რუსებმა შემოუთვალეს მერაბ ბერძენიშვილს, ჩვენ დავდგამთ ამ ძეგლსო. ეს ხომ არის სამარცხვინო. მერე რუსები უნდა ვაგინოთ. ვილაცეები გამოდიან და საუბრობენ, რომ ეს არის საბჭოთა გადმონაშთი. მე ვამბობ, რომ ამ მემორიალზე არც ერთი საბჭოთა სიმბოლიკა არ იყო გამოსახული. ერთი ვარსკვლავიც არსად არ იყო. ეს იყო მაშინდელი საზოგადოების, განებავთ კომუნისტური ხელისუფლების მიერ გმირებისთვის დადგმული მემორიალი. ზოგადად გმირების მემორიალი.

***— თუმცა, ისტორიკოსების ნაწილი, მაგალითად, სიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ საბჭოთა სიმბოლიკები წარსულს უნდა ჩაბარდესო...***

— რა შუაშია საბჭოეთი, რა კავშირი აქვს ამ მემორიალს საბჭოთასთან.

***— ისე, როგორ ფიქრობთ, დამთხვევაა თუ მიზანმიმართული ქმედება მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებების მიმართ...***

— არ ვიცი, რა ხდება, შეიძლება ასეა. ერთი ძეგლი სადღაც წაიღეს, მეორე ძეგლი ააფეთქეს. საერთოდ რაღაც უცნაური დამოკიდებულებაა ამ ძეგლების მიმართ. ბათუმში ამაშუკელის ილია ჭავჭავაძის ძეგლი გადაიტანეს.

***— როგორც ვიცი, თქვენ ოპოზიციას მერის ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას მოუწოდებთ. რას იტყვით ოპოზიციაზე?***

— ძალიან ნათელია, რომ ერთი კანდიდატი, ჯობია, ოპოზიციამ დააყენოს. ხელისუფლებას 30 პროცენტი უკვე გარანტირებული აქვს. ერთიანი კანდიდატის შემთხვევაში კი გამარჯვება შეიძლება, მაგრამ უკვე ამაშიც ეჭვი მეპარება.

***— რაში გეპარებათ ეჭვი?***

— გეკითხებით, რა ხდება, ასეთი რაღაც მოხდა და საქართველოს სძინავს. ყალყზე უნდა იყოს დამდგარი. სად არის პრეზიდენტი?! როდესაც თუთბერიძემ შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენს პატრიარქს, რატომ არ გამოვიდა და გადაეფარა პატრიარქს მკერდით? გეკითხებით, რატომ არ გამოვიდა პრეზიდენტი აფეთქების ფაქტთან დაკავშირებით და რატომ არ დაგმო? თუ თვითონ გასცა განკარგულება? რამდენი ხანი უნდა ვითმინოთ ეს უმსგავსობა?

***— ბატონო გოგი, ლევან გაჩეჩილაძემ განცხადება გააკეთა პროტესტის მესამე ტალღასთან დაკავშირებით. რას იტყვით ამაზე?***

— მე ვუშვებ, რომ ეს შესაძლებელია. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, ყველანაირი ხერხი, რომ ამ ხელისუფლების დემონტაჟი მოხდეს. თორემ ამას შვილები და შვილიშვილები არ გვაპატიებენ. მონობაში ცხოვრება გვიწერია.

***— დემონტაჟში, ალბათ, ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას გულისხმობთ...***

— ზოგადად გეტყვით, რომ ყველანაირი ხერხი უნდა ვიხმაროთ, რომ დემონტაჟი მოხდეს. ეს ხელისუფლება, ეს პრეზიდენტი არჩევნების გზით კი არ უნდა წავიდეს, არჩევნებამდე უნდა გააგდოს ხალხმა. მე ვიცი, რომ ეს ძალიან რთული განცხადებაა, მაგრამ ესენი ამის ღირსნი არიან. ხუთი დღის წინ რუმინეთში აღნიშნეს ჩაუშესკუს დამხობის 20 წლისთავი. ეს ყველას უნდა ახსოვდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხალხი ყველაფერს არ მოითმენს. საბერძნეთში რიკოშეტით დაღუპული ახალგაზრდა ბიჭის გამო დაადუღეს მთელი ქვეყანა, ჩვენთან კი ვამბობთ, ყვავილი არ გადაგვითელია. როდემდე შეიძლება ასე მოვიქცეთ?!

# სუფრული პატრიოტიზმი სამარხვო ტორტით

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ქართველმა საზოგადოებამ ფაქტი გადაყლაპა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამგვარ საზოგადოებას შეგიძლია რამდენიმე თვეში გადაუქციო ისტორიული ტრადიცია სტერეოტიპად, სტერეოტიპი გოიმობად, გოიმობა კი მარგინალობად. არც ერთ საზოგადოებას, განსაკუთრებით მის ახალგაზრდულ ნაწილს, არ სურს მარგინალობა, ანუ მოტივაცია „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ გადადის თავად საზოგადოებაზე. ერთი ჭკვიანური სვლით ხელისუფლებამ ძალიან დიდი ხნით დაასამარა ახლო წარსულში პატრიარქის მიერ ინიცირებული იდეა. მახეში გაება იდეაც, საპატრიარქოს ჭეშმარიტებაც და საზოგადოებაც.

რევანშიზმი და ქსენოფობიაც ხომ მარგინალურ თვისებებად ითვლება, ამას რატომღა კვებავს ხელისუფლება? — იკითხავს ზოგიერთი. სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლებას სჭირდება არა ქართველი საზოგადოების მოდერნიზება და ადაპტაცია თანამედროვე გლობალიზირებულ, დემოკრატიულ და განვითარებულ კაციობრიობასთან, არამედ ადაპტაცია კონკრეტულად ხელისუფლებაში მყოფი მმართველი ჯგუფის ინტერესებზე. ისეთი გაგება, როგორიცაა ვაჟკაცობა, სიტყვის კაცობა, მეგობრობა, ნდობა, ერთგულება, ეკლესიურობა და ა.შ. ამ ჯგუფს ხელს უშლის ისედაც გასაცოდავებული საზოგადოების სრულ მართვაში, შესაბამისად, ხდება ვაჟკაცობის კრიმინალიზაცია, სიტყვის კაცობის გაიგივება დანაშაულის დამალვასთან, მეგობრობა მერკანტილურ პრაგმატულობასთან, ნდობა არაპრაგმატულობასა და კორუფციასთან, ერთგულება არასრულფასოვნებასა და გოიმობასთან, ეკლესიურობა კი ფუნდამენტალიზმსა და სიბნელესთან. რაც შეეხება რევანშიზმს და ქსენოფობიას, რეჟიმი მას ასინონიმებს პატრიოტიზმთან. თუ რუს ჟურნალისტს საქართველოში არ შემოუშვებ, ან ნინო ქათამაძეს და პაატა ბურჭულაძეს მოღალატედ მონათლავ — პატრიოტი ხარ, თუ რუსულ ფილმს უყურებ ან პროდუქტს ყიდულობ, — მოღალატე ხარ. ამერიკას საქართველოსთვის სამხედრო დახმარება რომ გაეწია, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მზად იყო მუსრი გაევლო აფხაზებისთვისაც, ოსებისთვისაც და თუ მიაღწევდა, მთელი რუსეთისთვისაც. თუმცა ეს განწყობები მხოლოდ სააკაშვილის შექმნილი არაა, მათი ნიშნები უკვე 80-იანი წლების ბოლოს ჩანდა, მაშინ ქართველები ეძებდნენ დამნაშავეებსა და განტევების ვაცებს და პოულობდნენ კიდეც არაქართველებში.

ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მაშინდელი ეროვნული მოძრაობის ბევრი აქტივისტი (მათ შორის ე.წ. „ზვიადისტების“ ნაწილი), სიმპათიებით უყურებენ სააკაშვილის რევანშისტულ განცხადებებსა და პოლიტიკას. ბოლოს და ბოლოს, მარტივი ლოგიკაა, სააკაშვილს უნდა კვლავ შეინარჩუნოს რუსეთთან მებრძოლის როლი და პრეზიდენტობა, ხოლო საზოგადოებას უნდა რევანში ამდენი მარცხისა და დამცირებისთვის. სამაგიეროს გადახდა მართალია არაქრისტიანული და მარგინალურია, მაგრამ მაინც ტკბილია, ღმერთი გაიგებს, სამშობლოსთვის ომში დაღუპული ცხონდება! აქაც სააკაშვილი თამაშობს ხალხის ცნობიერსა და ქვეცნობიერზე და ფსევდოდემოკრატიულ მსოფლმხედველობით რეფორმებს უპრობლემოდ ამყნობს რევანშიზმსა და ქსენოფობიას. ამ პროცესს აქტიურად თუ პასიურად ხელს უწყობს საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც პირადი კავშირები, სინდისთან კომპრომისი და მომავლის უზრუნველყოფისკენ ლტოლვა „ჭკვიანურად გამოიყენეს“ და „ადგილი არ გააფუჭეს“, ერთ ცნობილ მწერალს აქვს ნათქვამი რუსებზე „...მათ თავისუფლებას სიმდიდრე ურჩევნიათ“, იგივეს თქმა შეიძლება ჩვენზეც, როცა გაქვს ფული, თავისუფლებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებ, მისი გახსენება სუფრაზეც საკმარისია. სხვებთან გასამართლებლად კი გამოდგება ტრადიციად ქცეული — „აბა, ამ მთავრობას ხომ არ შევაკვდები, პატრიოტიზმი ვჭამო?!“ჩნდება კითხვა — იქნებ ქართველ საზოგადოებას არ სჭირდება დემოკრატია და ამ გაურკვეველ მმართველობას მაძღარი ტოტალიტარიზმი ურჩევნია? ბრუნეი, საუდის არაბეთი და უზბეკეთი ხომ ცხოვრობს ასე? რა საჭიროა დემოკრატია? ამ კითხვაზე დღეს ქართველთა უმრავლესობა პასუხს ვერ გაგცემთ.

პრინციპში, საზოგადოებას არც ის უნდა, რომ მას ვინმე, მიშა, გრიშა ან მურთაზი ცხვრის ფარად მიიჩნევდეს ან მსოფლმხედველობით „პლასტიკურ ოპერაციას“ უკეთებდეს, ასევე დეკლარირებულად არ უნდა არც გაუნათლებლობა, სიზარმაცე, დაქსაქსულობა, სიღარიბე ან ომი. ამ თემებზე სუფრაზე იტყვიან ხოლმე „ღმერთმა გვაშოროს!“ ის რაც საზოგადოებას არ უნდა, არ შეუძლია, ეზარება ან რისიც ეშინია, ავტომატურად გადამისამართდება ხოლმე ღმერთზე, ღმერთმა უნდა გააკეთოს, რადგან ასე უფრო ადვილად მიდის ადამიანი კომპრომისზე საკუთარ პასიურობასთან. ამიტომაც გასაკვირი არაა, თუ დღეს 4 მილიონიან ხელის მოსმის დამზარებელს 1000 მენიჩბე თავის ჭკუაზე აცურავებს.

გამოსავალი აღარ არის? არის, ან უფრო სწორად, ჯერ კიდევ არის. რა თქმა უნდა, თუ დემოკრატია ტოტალიტარიზმს გვირჩევნია, თუ პატრიოტიზმს სუფრიდან გადავიტანთ ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ დემოკრატიას განვიხილავთ როგორც არა 1000-ის, არამედ როგორც 4000 000-ის მმართველობას, თუ იმ ათასს, ან სხვა ყოველ ხელისუფალს აღვიქვამთ არა როგორც „ხაზეინებს“ ან „მთავრობას“, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, არამედ, როგორც დაქირავებულ ჯგუფს, რომელიც ცუდად მუშაობის გამო გავარდება ხელისუფლებიდან, დანაშაულების გამო კი წავა ციხეში დამქირავებლების მიერ შექმნილი დემოკრატიული სისტემის დახმარებით. „სუფრული პატრიოტიზმის“ დაძლევა შეიძლება, თუ პატრიოტები და დემოკრატები ვიქნებით არა არჩევნებიდან არჩევნებამდე — 4 წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველთვის და ყველგან, სამსახურშიც, პროტესტის გამოთქმისასაც და სახლშიც, თუ უარს ვიტყვით ზემოდან და გარედან დამყარებულ დემოკრატიაზე და ქვემოდან, ხალხიდან ავაშენებთ მას. ამის საუკეთესო გზა არის ისეთი სახელმწიფო ან არასამთავრობო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებშიც აქტიური მონაწილეობა აიძულებს საზოგადოებას, თავად მართოს ან არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად გაიზიაროს ქვეყნის მმართველობა. მაგრამ რაც მთავარია, ზღვაში ჩაგდებულის გადარჩენა პირველ რიგში თავად ამ ჩაგდებულის აქტიურობის საქმეა. არც საშინაო და არც საგარეო ცხოვრებაში გასაქანს არავინ მოგცემს, თუ შენ თვითონ არ მოინდომე და არ მოიპოვე ის, რაც გინდა, ის, რაც გეკუთვნის.

# ირაკლი დოკვაძემ ელზა გულიაშვილის დაკითხვა მოითხოვა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რორ ლევან ბაჩიაშვილს უთხრა, რომ შეიძლება კვირჭიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. მან პროკურორს შეახსენა, ერთ დღეში რამდენჯერმე როგორ შეუცვალეს ბრალდება.

— თქვენ მაშინ თქვით, რომ ზემოდან არ ეთანხმებოდნენ ჩემს გათავისუფლებას. ცუდი ფაქტი მოხდა ხომ, ერთ დღეში სამჯერ რომ შემიცვალეთ მუხლი? — უთხრა ბრალდებულმა პროკურორს, რასაც პროკურორი არ დაეთანხმა.

ირაკლი დოკვაძემ კატეგორიულად მოითხოვა დაზარალებულ ელზა გულიაშვილისთვის კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება და შემდეგ დაკითხვა, რაზეც პროკურორმა განაცხადა, რომ დები ელზას დაკითხვის წინააღმდეგი არიან.

— მეც წინააღმდეგი ვარ, რომ კვირჭიშვილის გამო 30 წელი ციხეში ვიჯდე, — უპასუხა დოკვაძემ.

დოკვაძის ამ მოთხოვნის პასუხად ადვოკატმა თამარ გოჩელაშვილმა ელზა გულიაშვილის ქმედუუნარად ცნობის გადაწყვეტილება გადასცა მოსამართლეს. მოსამართლე ვერ რწმუნდებოდა იმაში, რომ ელზა გულიაშვილი ადეკვატურია, პასუხის გაცემა შეუძლია, აზროვნებს, მეხსიერება გააჩნია და მოითხოვა, მას ამის დამატკიცებელი რაღაც მიუტანონ, ვთქვათ, ნაწერი ან სხვა რამ.

აქ ირაკლი დოკვაძემ მიმართა მოსამართლეს:

— როგორ შეიძლება თქვენ მე ელზა გულიაშვილის დაკითხვის შუამდგომლობა არ დამიკმაყოფილოთ?

ელზა გულიაშვილი გახლავთ ბრალდების მოწმე. ამიტომ გაუგებარია, სახელმწიფო ბრალმდებელი და დაზარალებულის ადვოკატები რატომ არიან მისი დაკითხვის წინააღმდეგი.

პროკურორი თავს იმართლებდა, რომ მას დები გულიაშვილები სახლში არ უშვებდნენ და ამიტომ ვერ წარმოადგინა ელზა გულიაშვილი სასამართლო პროცესზე. ბოლოს პროკურორმა განაცხადა, რომ დაზარალებული მოწმის დაკითხვაზე თანახმა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ელზა გულიაშვილს ამის სურვილი ექნება.

მოსამართლემ პროკურორი გააფრთხილა, რომ გულიაშვილს მოწმის სტატუსი ჯერ კიდევ არ აქვს მოხსნილი. მოწმის სტატუსი რომ მოიხსნას, პროკურორმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარადგინოს სასამართლოში.

დებმა გულიაშვილებმა სასამართლო პროცესზე არაერთხელ განაცხადეს, რომ ელზა გულიაშვილს ირაკლი დოკვაძის სურათზე რეაქცია არ აქვს. როგორც ჩანს, ამის საპასუხოდ, ელზა გულიაშვილის დამცველად წარმოდგენილმა ადვოკატმა ნანა გოჩელაშვილმა განაცხადა, რომ საავადმყოფოში მას ელზა გულიაშვილის ფეხზე ხელი ჰქონდა მოკიდებული, როცა დაზარალებულს ირაკლი დოკვაძის სუართი აჩვენეს და ელზას ფეხი დაეჭიმაო. ამაზე დარბაზში გაიცინეს.

მოსამართლემ ამ ეტაპზე არ დააკმაყოფილა არც ელზა გულიაშვილისთვის კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების და არც მისი დაკითხვის მოთხოვნა, თუმცა, არ გამორიცხა ამ შუამდგომლობის შემდეგ ეტაპზე დაკმაყოფილება.

ირაკლი დოკვაძემ კი მოსამართლეს მიმართა:

— თუ ეს არ მოხდება, მე თქვენ ჩვენებას არ მოგცემთ. თქვენ შეგიძლიათ 30 წელი გამოიტანოთ, შეგიძლიათ 300 წელი მომისაჯოთ. ციხე ჩემთვის ახალი ხილი არ არის. მე ვიყავი დაპატიმრებული სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით. მაშინ ციხეში არ მივსულვარ არც ქონების დაუფლებისთვის და არც გამდიდრებისთვის. ახლა სრულიად იდიოტური ბრალდების გამო ვზივარ. მაშინაც მართალი ვიყავი და დღესაც მართალი ვარ.

დღეს მორიგი სასამართლო სხდომა გაიმართება, სადაც შეიძლება ირაკლი დოკვაძემ ჩვენება მისცეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, მოსამართლე დააკმაყოფილებს თუ არა ელზა გულიაშვილისთვის ექსპერტიზის ჩატარებისა და დაკითხვის შუამდგომლობას, რაც ბრალდებულის დაცვამ დღევანდელ სხდომაზე კვლავ შეიძლება დააყენოს.

სავარაუდოდ, დაცვა მოსამართლეს სხვადასხვა მტკიცებულებებს წარუდგენს. ერთ-ერთი მათ შორის შეიძლება იყოს ელზა გულიაშვილის განცხადება, რომ ირაკლი დოკვაძეს მისთვის არ დაურტყამს.

# ფილტვის კიბოს საინფორმაციო თვე

შორენა გონგლაძე

ჯანმო-ს მონაცემებით, ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მაჩვენებლები 2020 წლისათვის 20 მლნ-ს გადააჭარბებს, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებლები — 12 მლნ-ს. ფილტვის კიბოთი ყოველდღიურად იღუპება 3 000 ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ნახევარ საათში სადღაც ვიღაც იღუპება ფილტვის კიბოს გამო. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ფილტვის კიბო არის ყველაზე ძლიერი მკვლელი. მას ეწირება უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ძუძუს, მსხვილი ნაწლავისა და პროსტატის კიბოს, ერთად აღებულს. ყოველწლიურად მსოფლიოში აღინიშნება ფილტვის კიბოთი დაავადების 1.5 მილიონი ახალი შემთხვევა. ამის მიუხედავად, საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ფილტვის კიბოს შესახებ არის ძალიან დაბალი. ამიტომაც ნოემბერი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ამ დაავადებასთან ბრძოლის თვე და ამ პერიოდის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები ატარებენ სხვადასხვა აქციებსა დაავადებულთა მხარდასაჭერად და ზოგადად ფილტვის კიბოს შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით.

ფილტვის კიბო არის დაავადება, რომელიც შეიძლება შეეხოს ყველა ადამიანს ასაკის, სქესისა და რასის მიუხედავად. ეს არ არის მხოლოდ მწევლების დაავადება. პაციენტების დაახლოებით 10-20% არასდროს ყოფილა მწეველი. ხშირ შემთხვევაში ფილტვის კიბოს არ ახასიათებს ბევრი სიმპტომი ადრეულ სტადიებზე. პირველი ყველაზე ხშირი სიმპტომი არის პერსისტული, გახანგრძლივებული ხველა. თუ ნახველი შეიცავს სისლიან მინარევს, პაციენტმა აუცილებლად დროულად უნდა მიმართოს ექიმს. დაავადების პროგრესირებასთან ერთად, სიმპტომების რაოდენობა შეიძლება თანდათან გაიზარდოს. ამ სიმპტომებიდან აღსანიშნავია: სუნთქვის გაძნელება; ქოშინი; ქრონიკული გახანგრძლივებული ხველა; ხშირი ბრონქიტები; ხმის ჩახლეჩა; ტკივილი გულმკერდის არეში; გაურკვეველი მიზეზით წონაში კლება და მადის დაკარგვა. თუ ფილტვის კიბოს დიაგნოსტირება მოხდა დროულად, შესაძლებელია დაავადებისგან სრული განკურნება. ფილტვის კიბოს მკურნალობის ტაქტიკა დამოკიდებულია სიმსივნის ადგილმდებარეობასა და ზომაზე, მის გავრცელებასა და პაციენტის ზოგად მდგომარეობაზე. ფილტვის კიბო, უმრავლეს შემთხვევაში, დიაგნოსტირდება გვიან სტადიებზე, ანუ იმ დროს, როცა დაავადება უკვე გავრცელებულია სხეულის სხვა ნაწილებზე. ამ სტადიას მეტასტაზურ სტადიას უწოდებენ. ამ სტადიის მკურნალობის ბაზისს ქიმიოთერაპია წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკურნალობის წარმატების ხარისხი მცირეა: პაციენტთა უმრავლესობა იღუპება 6 თვის განმავლობაში; მხოლოდ მათი 5% ცხოვრობს 5 წელზე მეტ ხანს. თუ დაავადების მკურნალობა მოხდა ადრეულ სტადიაზე, 10-დან 7 პაციენტს აქვს შანსი, იცხოვროს 5 წელზე მეტ ხანს. ასევე არსებობს მათი გარკვეული ნაწილის სრული განკურნების შანსი. ფილტვის კიბო შეიძლება წარმატებით იყოს ნამკურნალევი ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ქირურგია, სხივური და ქიმიოთერაპია. ასევე აღსანიშნავია ისეთი თანამედროვე მიდგომების გამოყენება, როგორიცაა ბიოლოგიური ანუ კიბოს უჯრედების მიმართ მიზანმიმართული (თარგეთული) თერაპია მონოკლონური ანტისხეულების გამოყენების გზით.



### ფილტვის კიბოს ახალი შემთხვევების სიხშირე ევროპაში

ყოველწლიურად 100 000 ადამიანიდან საშუალოდ 47-ს უსვამენ ფილტვის კიბოს დიაგნოზს. კიბოს ყველა ფორმის საერთო ინციდენტობა უფრო დაბალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მაგრამ ფილტვის კიბოს ინციდენტობა უფრო მაღალია ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ინციდენტობა ძალიან მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. მაგალითად: უნგრეთი (80.9 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე) და პოლონეთი (65.8 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე). დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიდან გამონაკლისს წარმოადგენს დანია (56.9 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე) და ბელგია (58 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე), სადაც ინციდენტობის მაღალი მაჩვენებლებია. დანიაში ეს ძირითადად განპირობებულია ახალი შემთხვევების მაღალი სიხშირით ქალებში. ინციდენტობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები როგორც ქალებში, ისე კაცებში, აღინიშნება ფინეთში, პორტუგალიასა და შვედეთში. ყველა ქვეყანაში ინციდენტობა ნაკლებია ქალებში. უმრავლეს ქვეყნებში კაცებსა და ქალებს შორის არსებული სხვაობა ინციდენტობაში მცირდება, რაც განპირობებულია მწეველი ქალების რიცხვის მატებით და საპირისპიროდ მწეველი კაცების რიცხვის შემცირებით. ინციდენტობა ქალებში დაბალია ევროპის სამხრეთში: პორტუგალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთი, ასევე ფინეთსა და რუსეთის ფედერაციაში. ქალებში ინციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დანიასა (48.7 შემთხვევა 100 000 ქალზე) და უნგრეთში (42.4 შემთხვევა 100 000 ქალზე). პორტუგალიასა და შვედეთში ფილტვის კიბოზე მოდის კიბოს ყველა ახალი შემთხვევის 7 პროცენტი, ხოლო უნგრეთში, პოლონეთსა და რუსეთის ფედერაციაში — 16 პროცენტი. აბსოლუტური რიცხვის თვალსაზრისით საბერძნეთში, პოლონეთსა და რუსეთში ფილტვის კიბო წარმოადგენს კიბოს ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ქვეყნების ნახევარზე მეტში ფილტვის კიბო მეოთხე ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

### ფილტვის კიბოთი გამოწვეული სიკვდილობა

კიბო მიეკუთვნება დაავადებების ჯგუფს, რომელზეც ევროპაში სიკვდილის ყველაზე მეტი შემთხვევა მოდის გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების შემდეგ. ფილტვის კიბო კიბოს ყველაზე ფატალური ფორმაა. კიბოთი გამოწვეული სიკვდილის საერთო შემთხვევათა 15%-დან (პოლონეთში) 28%-მდე (ბელგიაში) ფილტვის კიბოთია გამოწვეული. შედარებით დაბალმა პროცენტულმა მაჩვენებელმა პოლონეთში შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, ვინაიდან კიბოთი გამოწვეული სიკვდილობის საერთო მაჩვენებლები ძალიან მაღალია ამ ქვეყანაში. ევროპაში ფილტვის კიბოთი დაავადებული პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბალია. დაავადებულთა თითქმის 90% კვდება დიაგნოზის დასმიდან 5 წლის ფარგლებში. ქალებში ფილტვის კიბო ნაკლებად ხშირია და სიცოცხლის ხანგრძლივობაც ოდნავ უკეთესია. ისევე, როგორც ინციდენტობა, სიკვდილობაც უფრო მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლებია ჩეხეთში (48.2 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე), უნგრეთსა (72.3 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე) და პოლონეთში (56.9 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე). სიკვდილობა ასევე მაღალია ზოგიერთ დასავლეთევროპულ ქვეყნაში, მაგალითად, ბელგიაში (57.3 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე), დანიასა (49.8 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე) და ნიდერლანდებში (48.8 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე). სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია ფინეთში, პორტუგალიასა და შვედეთში (30 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე).

### პროფილაქტიკა

ფილტვის კიბოს თავიდან აცილება შესაძლებელია. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ცნობილია მოწევასა და ფილტვის კიბოს განვითარებას შორის არსებული მყარი კავშირის შესახებ. თუმცა პროფილაქტიკური მუშაობის თვალსაზრისით ბევრი ვერ ან არ გაკეთებულა. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაიკავეს მთავრობებმა აქტიური პოზიცია მოწევის დანებების ხელშეწყობის თვალსაზრისით და უკანასკნელ წლებში მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც კრძალავენ მოწევას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ამ ღონისძიებების ზეგავლენა კიბოს ინციდენტობაზე 2020 წლებამდე არ არის მოსალოდნელი. ასევე შესწავლილ იქნა ფილტვის კიბოს პროფილაქტიკა მედიკამენტების გამოყენებით. მსხვილი რეტროსპექტული კვლევა მიუთითებს, რომ სტატინებით მკურნალობა 55 პროცენტით ამცირებს რისკს. სტატინების ეფექტის დადასტურება საჭიროა პროსპექტულ რანდომიზებულ კვლევებში. ქიმიოპროფილაქტიკის სახით რეტინოიდების გამოყენების შემსწავლელ კვლევებში უარყოფითი შედეგები იქნა ნაჩვენები. ფილტვის კიბოს განვითარების მექანიზმების შესახებ ცოდნის გაუმჯობესება საშუალებას იძლევა, ოპტიმიზმით შევხედოთ სამომავლო პროფილაქტიკურ კვლევებს. ისევე, როგორც სხვა სიმსივნეების შემთხვევაში, უჯრედის ზედაპირული ანტიგენების აღმოჩენა ბიძგს აძლევს ვაქცინის შემუშავებას.

### მკურნალობა

ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს მქონე პაციენტები დაავადების სტადიის მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

1. ოპერაბელური სიმსივნის მქონე პაციენტებს განკურნების საუკეთესო შანსი აქვთ, თუმცა, თავის მხრივ, ოპერაციულ ჩარევასთან ასოცირებულია სიკვდილობა (3-6%), ამასთან, ოპერაცია შეიძლება უკუნაჩვენები იყოს. ასეთ პაციენტებში რადიკალური სხივური თერაპია ოპერაციის ალტერნატივაა. ოპერაციის შემდგომი ქიმიოთერაპია ზომიერად ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას პაციენტებში დაავადების Iბ-IIIა სტადიით (სიმსივნის დიამეტრი 3 სმ-ზე მეტია და გავრცელებულია რეგიონულ ლიმფურ კვანძებში სიმსივნის მხარეს, მაგრამ არ არის შორეული მეტასტაზები). 2. პაციენტებში ადგილობრივად ან რეგიონულად გავრცელებული დაავადებით ეფექტურია მრავალკომპონენტიანი მკურნალობის გამოყენება. ზოგიერთ პაციენტში შესაძლებელია ქირურგიული ჩარევის კომბინირება ქიმიოთერაპიასთან და სხივურ თერაპიასთან ოპერაციამდე ან მის შემდეგ. ინოპერაბელური სიმსივნის მქონე პაციენტებს მკურნალობენ სხივური თერაპიით ქიმიოთერაპიასთან კომბინაციაში. 3. შორეული მეტასტაზების მქონე პაციენტებში დაავადების ადგილობრივი კონტროლისა და სიმპტომების შემსუბუქებისათვის გამოიყენება ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია. დაავადების შორსწასული ფორმებისას პალიატიური ქიმიოთერაპიის მეშვეობით შესაძლებელია სიცოცხლის ხანგრძლივობისა და დაავადებასთან დაკავშირებული სიმპტომების გაუმჯობესება ცხოვრების ზოგად ხარისხზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე.

### ნეოადიუვანტური მკურნალობა

ნეოადიუვანტური (ოპერაციამდე) ქიმიოთერაპიის პოტენციური ღირებულება შესწავლილ იქნა ორ მცირე რანდომიზებულ კვლევაში, რომელშიც ჩართული იყვნენ ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს III-ა სტადიის მქონე პაციენტები შუსაყრის იფსილატერალურ (სიმსივნის მხარეს) ლიმფურ კვანძებზე გავრცელებული მეტასტაზებით. ორივე კვლევაში ცისპლატინის შემცველი რეჟიმის სამი ციკლის გამოყენება ოპერაციამდე აისახა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სამჯერად გაუმჯობესებაში მხოლოდ ოპერაციასთან შედარებით. საფრანგეთში 373 პაციენტში ჩატრებულმა მსხვილმა რანდომიზებულმა კვლევამ ასევე აჩვენა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესება ქიმიოთერაპიის ოპერაციამდე გამოყენების დროს, თუმცა სხვაობა არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო.

### ადიუვანტური მკურნალობა

პირველი მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი, რომელმაც აჩვენა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესება ცისპლატინის ოპერაციის შემდგომი გამოყენებისას, გამოქვეყნდა 2003 წელს. ადიუვანტური თერაპიის მეშვეობით 5-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 5-10 პროცენტით. ადიუვანტური მკურნალობის ღირებულება დაავადების სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებულია. კლინიკური კვლევების ახლახან ჩატარებულმა მეტმა ანალიზმა აჩვენა, რომ ადიუვანტური ქიმიოთერაპია ყველაზე ეფექტურია დაავადების II და II სტადიების დროს, ნაკლებ ეფექტურია I-ბ სტადიის დროს, ხოლო I-ა სტადიის დროს ადიუვანტური ქიმიოთერაპია ეფექტური არ არის.

ინოპერაბელური III-ბ სტადიის მქონე პაციენტებში ჩატარებულმა რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ცისპლატინის შემცველი ქიმიოთერაპია და ადგილობრივი რეგიონული სხივური თერაპია აუმჯობესებს სიცოცხლის ხანგრძლივობას მხოლოდ სხივურ თერაპიასთან შედარებით. რამდენიმე რანდომიზებული კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის კომბინაცია 10 პროცენტით ამცირებს სიკვდილის რისკს მხოლოდ სხივურ თერაპიასთან შედარებით. მეტასტაზური დაავადების მკურნალობა, ქიმიოთერაპია, რომელიც შეიცავს ცისპლატინს და სხვა ქიმიოთერაპიულ საშუალებებს, დაავადების შორსწასული ფორმების დროს გამოიყენება 1980-იანი წლების მიწურულიდან. ამჟამად სტანდარტული პირველი რიგის რეჟიმია ცისპლატინი ან კარბოპლატინი პლუს გემციტაბინი, ვინორელბინი ან ტაქსანი, რაც სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობას აუმჯობესებს ორი-სამი თვით. ქიმიოთერაპიის გამოყენებისას 1-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება დაახლოებით 40 პროცენტით. სხვა ქიმიოთერაპიული კომბინაციები, როგორებიცაა ცისპლატინი პლუს დოცეტაქსელი, გემციტაბინი, პაკლიტაქსე;ო, ვინბლასტინი ან ვინორელბინი, ცისპლატინი + პაკლიტაქსელის მსგავს შედეგებს იძლევა. მეტა ანალიზის მონაცემები უპირატესობას ცისპლატინს ანიჭებს კარბოპლატინთან შედარებით, მაგრამ სხვაობა შედარაბით მცირეა. ახლახან ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს პირველი რიგის მკურნალობის სადღეისოდ ყველაზე მსხვილ კვლევაში პემეტრექსედისა და ცისპლატინის კომბინაციამ გემციტაბინისა და ცისპლატინის კომბინაციის მსგავსი შედეგები აჩვენა სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობის თვალსაზრისით, მაგრამ პემეტრექსედით ნამკურნალევ პაციენტებში გვერდითი ეფექტების სიხშირე სარწმუნოდ ნაკლები იყო. ქვეჯგუფების ანალიზისას გამოვლინდა პემეტრექსედის უპირატესობა არასქვამოზურ უჯრედული კიბოს მქონე პაციენტებში.

ნაჩვენები იყო, რომ მესენჯერული რნმ-ის შემცველობის მიხედვით შესაძლებელია პროგნოზირება, თუ რომელ პაციენტებში იქნება ცისპლატინი ეფექტური. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება პაციენტთა შერჩევა გენეტიკური პროფილის მიხედვით. მართალია, ქიმიოთერაპიულმა კომბინაციებმა გააუმჯობესა სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა, მათ არ აჩვენეს ზეგავლენა სიცოცხლის ეფექტური ხანგრძლივობის მაჩვენებლებზე. ორზე მეტი ქიმიოთერაპიული საშუალებების კომბინაციების გამოყენება არ აისახა სიცოცხლის ეფექტური ხანგრძლივობის მაჩვენებლების მომატებაში. დოცეტაქსელი და პემეტრექსედი მეორე რიგის მკურნალობის სახით ორი თვით აუმჯობესებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. გემციტაბინის ან ვინორელბინის მონოთერაპია გამოიყენება არასახარბიელო პროგნოზის მქონე პაციენტებში ან როდესაც პლატინის შემცველი რეჟიმების გამოყენება უკუნაჩვენებია.

ახალი სამკურნალო საშუალებები სპეციფიკურად ზემოქმედებენ კიბოს უჯრედებზე, მაგალითად, ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის თიროზინ კინაზას ინჰიბიტორი ერლოთინიბი. მანამდე ქიმიოთერაპიით ნამკურნალევ პაციენტებში ჩატარებულ კვლევაში ნაჩვენები სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესების გამო ამ მედიკამენტის გამოყენება სულ უფრო იზრდება. გეფიტინიბმა, მსგავსი პრეპარატი, აჩვენა ეფექტურობა პაციენტების გარკვეულ ჯგუფებში, მაგალითად, ადენოკარცინომის მქონე პაციენტები, ქალები, იაპონელები და არამწევლები. თუმცა ამ ორის პრეპარატის ცისპლატინი/გემციტაბინთან ან კარბოპლატინი/პაკლიტაქსელთან კომბინირებისას ეფექტი ნაჩვენები არ იყო. მონაცემები მიუთითებენ, რომ არამწევლებში შესაძლოა ეფექტური იყოს ერლოთინიბის დამატება ქიმიოთერაპიულ რეჟიმზე.

აგრეთვე არის მინიშნებები, რომ ეპიდერმული ზრდის ფაქტორების ინჰიბიტორები ეფექტურია სპეციფიკური გენეტიკური მუტაციის მქონე პირებში. დამატებითი მონაცემებია საჭირო, რათა ზუსტად განისაზღვროს მკურნალობაზე პასუხის მარკერების ღირებულება. ბიოლოგიური კვლევების მიმართულება სწრაფად ვითარდება და ამჟამად ახალი დამიზნებითი პრეპარატების მთელი რიგი გადის გამოცდებს ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს დროს.

ბიოლოგიური პრეპარატებიდან საქართველოში ხელმისაწვდომია ორი პრეპარატი — ავასტინი და ტარცევა. მომავალში სხვადასხვა დამიზნებითი საშუალებების კომბინაციებმა შესაძლოა კიდევ უფრო მეტი გაუმჯობესება შემოგვთავაზონ. ბევაციზუმაბი პლუს ერლოთინიბის კომბინაცია ღირებული აღმოჩნდა არსებულ ციტოტოქსიურ საშუალებებთან შედარებით არასქვამოზურუჯრედული ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს დროს. ამ კომბინაციის შემსწავლელი III ფაზის კვლევა კვლავაც მიმდინარეობს. კვლევის დადებითმა შედეგებმა შეიძლება სრულად შეცვალოს მკურნალობის არსებული სტრატეგიები. საერთო ჯამში, www.clinicaltrials.gov-ზე ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს მკურნალობის შემსწავლელი 500-ზე მეტი კლინიკური კვლევაა დარეგისტრირებული. თუმცა ყველა კვლევა როდი შეისწავლის ახალ სამკურნალო საშუალებებს, ზოგიერთი ამ კვლევის მიზანი მკურნალობაზე პასუხის პროგნოზული მაჩვენებლების შესწავლაა, რამაც სამომავლოდ შესაძლოა მკურნალობის ინდივიდუალიზაცია განაპირობოს.



# ცხინვალის აღების სტრატეგია მაია ნადირაძეს ჰქონდა



ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით ახალი სტრატეგიის ამოქმედებაზე საუბრობს. ამ სამოქმედო გეგმაზე დარგის ექსპერტებთან და უშიშროების საბჭოში შესაბამისი განხილვებიც შედგა. ხვალ რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი ხელისუფლების ახალ სტრატეგიაზე სოხუმთან და ცხინვალთან მიმართებით პარლამენტის წევრებთან ისაუბრებს.

რაში მდგომარეობს მთავრობის ახალი სტრატეგია ოკუპირებულ მიწებთან დაკავშირებით, რამდენად შეცვალა ხელისუფლებამ თავისი ქედმაღლური დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ და მზად არის, რომ ყველაფერზე დაწვრილებით იმსჯელოს, ოპოზიცია რამდენად მზად არის, ხელისუფლების მიერ ამ საკითხში დაშვებული შეცდომები გამოასწოროს და აღარ გაიმეოროს?

„ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტოლოგი **ქახა კაციტაძე** აცხადებს, რომ რა სტრატეგებიც არიან დღევანდელ ხელისუფლებაში, ეს გასული წლის აგვისტოს ომშიც კარგად გამოჩნდა. მისივე თქმით, გაუგებარია, როგორ უნდა დაწეროს ხელისუფლებამ ახალი სტრატეგია, როცა მეშვიდე წელია ვერც ერთ სფეროში ნორმალური სტრატეგია ვერ შეუდგენია. კაციტაძე აცხადებს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების დაცვა არ შეუძლია, მაგრამ, თუ ოპოზიცია საზოგადოების დაკვეთას ვერ შეასრულებს, მასაც მოუწევს პოლიტიკური არენის ახალი ოპოზიციური ალებისთვის დათმობა.

გერა მამულაშვილი

***— რა საკითხებს მოიცავს ხელისუფლების ახალი სტრატეგია?***

— ამ გეგმის შინაარსი ჯერ გამოქვეყნებული არ არის და დაწვრილებით ამაზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ამ ხელისუფლებას რაიმე სტრატეგიის შექმნის უნარი რომ არ აქვს, ეს იმდენჯერ გვინახავს, რომ ამაზე საუბარი უკვე მოსაწყენიც კი გახდა. რა სტრატეგებიც არიან ისინი, ეს შარშან აგვისტოში კარგად ვნახეთ.

***— საპარლამენტო ოპოზიციამ გააკეთა კომენტარი, რომ სამოქმედო გეგმა ცუდი არ არის და მას პოლიტიკურ ძალებს შორის მაქსიმალური კონსენსუსი სჭირდება...***

— ტერიტორიების დაბრუნების სტრატეგიის შეფასებაზე ერთ პატარა ამბავს გავიხსენებ. დაახლოებით 2006 წელი იყო და მაშინდელი დეპუტატი მაია ნადირაძე ეთერში ინგა გრიგოლიასთან გამოდიოდა, თუ არ ვცდები. ინგას ერთი შეკითხვა ასეთი იყო — ცხინვალის დაბრუნების რაიმე სტრატეგია თუ არისო.

პასუხად ირონიული ღიმილი იყო და, რასაკვირველია, არის, ოღონდ დეტალებს ვერ ვიტყვით, რადგან მტრები გაიგებენო, ანუ მაშინაც ჰქონდათ ეს სტრატეგია და რა სტრატეგიაც იყო, ეს კარგად გამოჩნდა, ისევე, როგორც არასდროს დამავიწყდება, როდესაც ქალბატონმა ნადირაძემ ბრძანა, 2007-ში მაპს რომ მოგვცემენ, მერე ჩვენს ოპონენტებს ეს ამბავი არ შერცხვებათო?

აგერ 2010 მოდის და ამ დეკემბერშიც ისევე მოგვცემენ მაპს, როგორც შარშან მოგვცეს. ეს ძალიან კარგად ვიცით და არ რცხვენიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს? ძალიან მაინტერესებს, ხოლო ახალ სტრატეგიაში რა უნდა იყოს წინა პლანზე წამოწეული, მოდით, ჯერ დავიცადოთ და ვნახოთ, რას აკეთებენ. იქნებ მოხდა სასწაული და ხელისუფლებამ დაწერა რაღაც სტრატეგია? თუმცა მე არ მესმის, ეს როგორ უნდა მოახერხოს ხელისუფლებამ. როდესაც უკვე მეშვიდე წელია ხელისუფლებაში ხარ და ვერც ერთ სფეროში სტრატეგიას ვერ წერ, უცებ ყველაზე რთულ სფეროში ამას როგორ დაწერ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, მაგრამ, ვიმეორებ, მოვიცადოთ და ვნახოთ.

***— ფიქრობთ, რომ თქვენ მიერ ნახსენები ხელისუფლების ადრინდელი პოზა დღესაც არ არის შეცვლილი და კორექტირებული?***

— რასაკვირველია, ეს ხელისუფლება შინაგანად ისევ თავხედია, ოღონდ მის თავხედობას საკმაოდ წყალი შეუყენა სამთვიანმა აქციებმა. ასე რომ, ის აქციებიც სულ უშედეგო არ ყოფილა. რასაკვირველია, თუ ისინი საზოგადოების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას არ წააწყდებიან, მუდმივად ასეთი თავხედები იქნებიან.

მე, უბრალოდ, სხვა რაღაც მიკვირს. ყოველთვის ამის იმედი მქონდა, ახლაც ვიცი და არაერთგზის დამიწერია, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისგან რუსეთი და საქართველო, ქართული და რუსული საზოგადოება. მათ შორის პირველი განსხვავება არის ხელისუფლების აღქმაში.

რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი ხელისუფლებას აღიქვამს, როგორც რაღაც კურთხეულს, კოსმიურს, როგორც აბსოლუტურს, უზენაესს. ჩვენთან კი ასეთი აღქმა არ ყოფილა. ეს სულ სხვა ისტორიულმა, კულტურულმა მიზეზებმა განაპირობა. ჩვენი საზოგადოების დიდი უმრავლესობა ხელისუფლებას, რბილად რომ ვთქვათ, არ აღიქვამს, როგორც სერიოზულს.

ამავე დროს, თან სასაცილოა და თან სატირალი, თვითონ ხელისუფლების პატარა წევრები როგორ აღიქვამენ ზემოთა წევრების აბსოლუტურობას, სააკაშვილის დაბადების დღისთვის მემორიალის დანგრევა რომ მოესწროთ, ადამიანების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენეს.

ადამიანების სიცოცხლე რომ საფრთხის ქვეშ დააყენეს, არ მიკვირს, მაგრამ ისეთივე ბრიყვები არიან, რომ იმასაც კი არ ფიქრობენ, რაიმე რომ მომხდარიყო, სააკაშვილი ჯოხს ისევ მათზე გადატეხდა. ესეც კი ვერ მოიფიქრეს. ამაშია ჩვენი ხელისუფლების ხასიათი. აი, ეს თავხედობა სულ იქნება, ზოგჯერ მინელებული, ზოგჯერ გაღვიძებული ფორმით, გააჩნია, საზოგადოება მასზე როგორ ზეგავლენას მოახდენს.

***— საინტერესო მომენტია ხელისუფლების აღქმის საკითხი რუსეთსა და საქართველოში; რამდენად შეძლებს ხელისუფლება საქართველოში „რუსული აღქმის" დანერგვას და განმტკიცებას?***

— თუ ეს პოლიტიკა წარმატებულად იგეგმება, მაშინ ჩვენ ამ ხელისუფლებას დღეს უფრო სერიოზულად უნდა აღვიქვამდეთ, ვიდრე სამი წლის წინ აღვიქვამდით. არის ასე? წინსვლა იმისკენ, რომ საზოგადოებას ხელისუფლება რაღაც დიადად მიაჩნდეს და არა არაკომპეტენტური, ცანცარა ადამიანების ერთობლიობად, რომელი უფროა და რომელი ტენდენციაა უფრო მზარდი? უფრო მეტი ხალხი მიიჩნევს ხელისუფლებას ბრძნად, თუ სულ უფრო მეტი ხალხი მას არაადეკვატურად მიიჩნევს? რომლის ზრდის ტენდენცია უფრო მეტია?

ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, სურს, რომ როგორც პუტინია დიდი კოსმოკრატორი და მსოფლიოს მბრძანებელი რუსების თვალში, ასევე წარმოჩნდეს ჩვენს თვალში, მაგრამ არ გამოდის, რადგან ეს საქართველოა და არა რუსეთი.

***— როგორ აფასებთ მორიგი რუსი ჯარისკაცის, ხრიპუნის გამოქცევას ცხინვალიდან?***

— ძალიან მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით რუსეთში და თვალშისაცემია რუსული არმიის პიარიც სიძლიერესთან დაკავშირებით. ის, რომ საქართველოს არაკომპეტენტური პოლიტიკოსებითა და მხედართმთავრებით დაკომპლექტებული ჯარი დაამარცხე, იმას არ ნიშნავს, რომ რუსული არმია რაღაცას წარმოადგენს.

სხვათა შორის, ძალიან ნიშანდობლივია ისიც, რასაც სულ ვამბობდით სამხედრო ექსპერტები და რაც რუსებმაც უკვე აღიარეს, რომ წასულიყვნენ ქართული ქვედანაყოფები ჯავისკენ და ცხინვალზე უაზრო შეტევა რომ არ დაეწყოთ, ძალიან მძიმე დღეში ჩაცვივდებოდნენ რუსები. ამაზე უკვე რუსი გენერლის სიტყვებიც არის გახმაურებული.

მაგრამ ამათთვის ხომ ომი პოლიტიკის გაგრძელება არ არის. მათთვის ომი პიარის გაგრძელებაა და, შესაბამისად, ისინი ომს კი არ აწარმოებდნენ, არამედ მიტინგის ჩატარებას აპირებდნენ, მაგრამ, აი, ამ ავადმყოფურ მიდგომებს რატომ ეწირება ამდენი ადამიანი, ეს ვერ გამიგია.

იგივეა ქუთაისში დაღუპულ დედა-შვილზე. რაღაც აკვიატებულ იდეებს შეწირვა ხდება. ზოგიერთი ხელისუფლების მომხრე იმას ამბობს, რომ ნორმატივები და პროფესიული მოთხოვნები დაცული არ იყო. საქმე ის არის, პროფესიონალი ვინც იყო, ისინი არსად არავინ დატოვეს და დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ამ ძეგლის აფეთქება და ცხინვალის საბრძოლო მოქმედებები ერთნაირად არაკომპეტენტურად არის დაგეგმილი? და როცა ორ, აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში ასეთი არაკომპეტენტურობა სუფევს, იმ სფეროს წარმომადგენლები კი არ არიან დამნაშავენი, არამედ ხელისუფლებაა პირველი დამნაშავე. აბა, როგორ მოხდა, რომ ასეთი უმეცრები არიან ისინი, ვინც მემორიალის აფეთქებას გეგმავს. ჯერ მემორიალის აფეთქება რომ მოგივა თავში, ცოტა შესამოწმებელი ხარ, ან როცა ასეთივე უმეცრებით იგეგმება ცხინვალში სამხედრო მოქმედება, სადაც უკანდახევის მიჯნებიც კი არ იყო დატანებული ამ გეგმაზე. შესაბამისად, პასუხიც არავის უგია.

***— დღევანდელი ოპოზიციური სპექტრი რამდენად მომზადებულია საიმისოდ, რომ ხელისუფლების ეს შეცდომები არ გაიმეოროს მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვლენ?***

— ჯერ ვნახოთ, მოვა თუ არა ოპოზიცია ხელისუფლებაში. მე ვხედავ ერთ რამეს — ამ ხელისუფლების ყავლი გასულია. მას განაჩენი გამოუტანა ისტორიამაც, ქართველმა ერმაც და მან განაჩენი თავის თავს თვითონვე გამოუტანა. ასეთი ქმედებებით კიდევ გამოუტანს განაჩენს. მაგრამ ამ ხელისუფლებას სათავეში დარჩენა და საქართველოს ინტერესების დაცვა რომ არ შეუძლია, ეს ერთი საკითხია; ოპოზიციას რამდენად შეუძლია საზოგადოების შეკვეთის ან თუ გნებავთ ისტორიის შეკვეთის შესრულება, ეს მეორე საკითხია. უახლოეს ხანებში, ხაზს ვუსვამ, თუ ეს ოპოზიცია ვერ შეასრულებს საზოგადოების და, რაც მთავარია, ისტორიის შეკვეთას (რადგან სააკაშვილს ისტორიამ რა დროც მისცა, ის უკვე ამოწურა, რა ფორმით მოხდება ამ დროის ამოწურვა, სხვა საკითხია), თუ დღევანდელი ოპოზიცია ამას სწრაფად, რამდენიმე თვეში ვერ მოახერხებს, მაშინ ქვეყანაში სხვა ოპოზიცია გაჩნდება.

***— ფაქტია, რომ პოლიტიკურ ოპოზიციას ამ ეტაპზე უჭირს ამის გაკეთება, თუნდაც ერთიან საარჩევნო კანდიდატზე კონსენსუსთან დაკავშირებით.***

— ეს უკვე ოპოზიციის პრობლემაა და არა საზოგადოების. იმიტომ არიან პოლიტიკოსები, რომ შეასრულონ საზოგადოების შეკვეთები. თუ ამის თავი არ აქვთ ან არ შეუძლიათ, არ არის აუცილებელი, რომ ყველა იყოს პოლიტიკოსი, რა პრობლემაა, ვერ გავიგე. ჩვენ რომ არ ვართ პოლიტიკაში, ამით რა, რამე ფუჭდება?


## განცხადება აუქციონის შესახებ

2009 წლის 31 დეკემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „კოკოს" (მისამართი: მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. 72, ბინა 27, ს/ნ **205180613** ) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთი:**
მის.: თბილისი, ფონიჭალის დასახლება, № 4 მაცივრის მიმდებარედ, (ნაკვ. №49/1), საკადასტრო კოდი 01.18.13.049.001, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი10226 კვ.მ, შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №5, №6, №9, №4, №7, №8.
უძრავი ნივთის საწყისი ფასია 111 000 აშშ დოლარი;

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება, გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი"

მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7






მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



## SMS-განცხადებები - 3090

- ქირავდება ერთოთახიანი ბინა ქავთარაძეზე, თვეში 300 ლარად. იზოლირებული, ატმორით, გათბობით, ტელეფონით, I სართულზე. ტელ: 18-90-93.
- იყიდება ავტომობილი „ნივა" კარგ მდგომარეობაში. ტელ: 899-93-27-32.

## განცხადებები

- ამერიკაშისტაჟირებულიფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.
- იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.
- გთავაზობთ ეპილაციას უმაღლესი ხარისხით. ჭარბთმიანობას აქრობს სწორად გაკეთებული ეპილაცია, რომელსაც გთავაზობთ უწვრილესი ვოლფრამის ნემსით. მისამართი: მოსკოვის პროსპექტის ბოლოში, ტელ: 70-68-73; 855-492-934 კოსმეტოლოგი მერი.
- სილამაზის სალონ „შარმში" უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.
- შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# უმაღლესი ლიგიდან — პრემიერლიგისკენ

**ორშაბათს, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ საინტერესო და ამავდროულად უცნაური ინფორმაცია გაავრცელა — ფედერასთან პარალელურად შეიქმნება პრემიერლიგა, რომელიც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ანალოგი იქნება.**

როგორც სიჭინავამ განაცხადა, პრემიერლიგის შექმნა ქართულ საფეხბურთო ბაზარზე კონკურენციას გაზრდის და დაინტერესებული საფეხბურთო კლუბები არჩევანის წინაშე დადგებიან და თავად აირჩევენ, სად მოისურვებენ თამაშს. სიჭინავას თქმით, პფლ ჩვეულებრივი შპს-ა და მსგავსი ლიგის შექმნა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. რა თქმა უნდა, პრემიერლიგის შექმნა და კლუბების არჩევანის წინაშე დაყენება საინტერესო ფაქტია, მაგრამ როგორც გითხარით, უცნაურიც.

საქმის უცნაურობა კი იმაში გამოიხატება, თუ რომელ ორგანიზაციას, პფლ-ს, პრემიერლიგას თუ სხვა ნებისმიერ ლიგას მიენიჭება პრიორიტეტი საქართველოს ჩემპიონის გამოვლენაში და რომელ ტურნირში გამარჯვებული გუნდები მიიღებენ მონაწილეობას ევროპის საკლუბო ტურნირებზე.

აქ უკვე სხვა აზრი იბადება. სიჭინავას ფედერაციის ხელმძღვანელად მისვლის შემდეგ, მისი და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ურთიერთობა არცთუ სახარბიელოდ დაიწყო. სიჭინავას არ მოსწონდა საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა. მეტიც, პირველივე დღეებიდანვე დაიძაბა სიტუაცია სიჭინავასა და პფლ-ის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს შორის, რის შემდეგ რამიშვილი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს მიღმა დარჩა. სულ ცოტა ხანში კი რამიშვილი ფედერაციის აღმასკომის წევრმა, საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გეგეჭკორმა ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილა. რამიშვილმა მაშინვე განაცხადა, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური თამაში იყო და ნათლად ჩანდა, მათი შეხმატკბილებული მუშაობა არ შედგებოდა.

იურიდიულად პროფესიული ფეხბურთის ლიგის დაშლა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ ფედერაციამ მასთან ბრძოლის ახალ და იოლ გზას მიაგნო — შექმნის ალტერნატიულ ლიგას და ყველა მის დაქვემდებარებაში მყოფ გუნდს თავისთან გადაიბირებს (უნდა უფრო მაღალი საპრიზო ფონდით, უნდა ძალაუფლების გამოყენებით). ამის შემდეგ პროფესიული ფეხბურთის ლიგა, როგორც შპს, ფაქტობრივად, გაკოტრდება და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ფედერაციას აწყობს.

ეს ყველაფერი კარგად წაიკითხა თავად რამიშვილმა და პფლ-ის პრეზიდენტის პოსტი დატოვა. ამის შესახებ განცხადება რამიშვილმა ერთი კვირის წინ გააკეთა, თუმცა პფლ-ის გამგეობის სხდომა ორშაბათს გაიმართა და უკვე ოფიციალური განცხადება გააკეთა. თუმცა, როგორც ადრე განაცხადა, საქმიანობას ბიზნესის სფეროში გააგრძელებს და ფეხბურთთან ურთიერთობას არ შეწყვეტს.

პფლ-ის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების სხდომა 2010 წლის 25 იანვრისთვის არის დანიშნული, თუმცა რამდენად საჭირო იქნება ამ ორგანიზაციისთვის პრეზიდენტი, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

# იურგენ კლინსმანი: „ამდენი ფავორიტი არც ერთ მუნდიალს არ ჰყოლია“




2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იურგენ კლინსმანი წვრთნიდა და ბუნდესნაკრები ბრინჯაოს მედლამდე მიიყვანა. ამის შემდეგ იყო მიუნხენის „ბაიერნი“, სადაც მაინცდამაინც შედეგიანად ვერ იმუშავა და თავის მეორე სამშობლოში, ამერიკაში მოუწია გამგზავრება. ოკეანესგაღმელები კლინსმანს თავიანთი ნაკრების მწვრთნელად იწვევდნენ, მაგრამ თავაზიანი უარი უთხრა, ამიტომ 2010 წლის ჩემპიონატს გულშემატკივრის თვალით უყურებს.

კლინსმანი ჟურნალისტებთან ყოველთვის თავაზიანად საუბრობს და ერთ-ერთ გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში აღნიშნა, თუ რას გააკეთებს მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას, რატომ გახდა გერმანიის ნაკრები უფრო ძლიერი და ვინ იქნება, მისი აზრით, მომავალი მუნდიალის ვარსკვლავი.

— ***რამდენიმე ხნის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. თუ ადევნებდით თვალს ამ შოუს და რას იტყვით მის შესახებ?***

— წილისყრას ტელევიზორის საშუალებით ვუყურე. ეს იყო შესანიშნავი საშუალება, დაწყებულიყო ათვლა იმ დარჩენილი დღეებისა, რაც მუნდიალამდე დარჩა. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთაფრიკელებმა წილისყრის წარმატებული შოუს ჩატარებით დიდი ნაბიჯი გადადგეს მომავალი ჩემპიონატისთვის სერიოზულ ორგანიზაციულ საკითხებში. სადღეისოდ, ძალიან მომწონს ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ.

— ***რას უნდა ველოდოთ მომავალ ზაფხულს სამხრეთ აფრიკაში?***

— სიმართლე გითხრათ, რაღაც ფანტასტიკურს ველოდები. ალბათ, არ გახდება საჭირო, იქ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი მის წინამორბედს შევადაროთ. ეს იქნება ყველაფერთან შეუდარებელი, რადგან ჩვენ თვალი უნდა ვადევნოთ პირველი აფრიკული სერიოზული ტურნირის ჩატარებას.

— ***დავუბრუნდეთ წილისყრას. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ჯგუფებში გუნდების გადანაწილებამ?***

— თითქმის ყველა ჯგუფში 3 ძლიერი გუნდი და ერთი ანდერდოგია. თუმცა, არის ოთხეულები, სადაც არავის ჩამოწერა არ შეიძლება. რაიმეს პროგნოზირება ჯერ ნაადრევი იქნება. მით უფრო, რომ გუნდებს დიდ სირთულეებთან მოუწევთ შეჯახება — გასათვალისწინებელია მაღალ სიმაღლეზე და აფრიკულ ზამთარში თამაში. დარწმუნებული ვარ, წინ ისეთი მსოფლიოს ჩემპიონატი გველოდება, რომელიც უამრავ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

— ***რას ფიქრობთ ფავორიტებზე — ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი და, რა თქმა უნდა, მასპინძლები?***

— მეჩვენება, რომ აქამდე ჩატერებულ არც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატს ამდენი ფავორიტი არ ჰყოლია. სულ მცირე, 8 გუნდი იბრძოლებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სახელის მოსაპოვებლად. ყველა ამ გუნდს თავიანთ სასარგებლოდ სერიოზული არგუმენტები აქვს. ჩვენ ძალიან ბევრი საინტერესო მოვლენის მომსწრე გავხდებით. თუმცა, სჯობს არ ვიჩქაროთ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 6 თვე დარჩა და შესაძლოა, ძალიან ბევრი რამ შეიცვალოს.

— ***ხომ ვერ დაასახელებთ თქვენს ფავორიტებს?***

— ყველა ის 8 გუნდი, რომლებიც კალათებში პირველ ნომრად იყვნენ განთესილი (ბრაზილია, ესპანეთი, ინგლისი, ჰოლანდია, იტალია, არგენტინა, გერმანია, სამხრეთ აფრიკა), აგრეთვე პორტუგალია და საფრანგეთი. ძალიან ბევრს ველოდები კოტ დივუარისა და ჩილეს ნაკრებებისგან. ამ გუნდებმა შესანიშნავად იასპარეზეს შესარჩევ ეტაპზე.

— ***შეგიძლიათ გამოყოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც გაიბრწყინებენ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ისინი, ვინც შესაძლოა ამ მუნდიალზე გამოჩდნენ?***

— მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი ტურნირია, რომელზეც არ შეიძლება ერთმა კონკრეტულმა ფეხბურთელმა გუნდი გადამწყვეტ ეტაპზე მიათრიოს. რაღა თქმა უნდა, რონალდუს, კაკას, მესის, დროგბას ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ თავიანთი გუნდებისთვის, მაგრამ თანაგუნდელების გარეშე აშკარად გაუჭირდებათ.

— ***რას იტყვით გერმანიის ნაკრების ჯგუფზე, სადაც განის, ავსტრალიისა და სერბეთის ნაკრებები მოხვდნენ?***

— ამ ჯგუფზე ვერ იტყვის ადამიანი, კარგია თუ ცუდი. შესაძლოა, უფრო ცუდი ვარიანტიც შეგვხვედროდა. სერბეთის ნაკრები ძალიან დამაინტრიგებელი გუნდია. გადავხედოთ წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრალიელთა მებრძოლ სულს, სადაც სულ მცირე დააკლდათ, რომ გათამაშებიდან გამოეგდოთ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრები. თუმცა, ყველაზე მეტად განის ნაკრები მაინტერესებს, რომელსაც ბევრი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია, რადგან აფრიკული გარემო მათზე გაცილებით უკეთ იმოქმედებს, ვიდრე სხვა დანარჩენ გუნდებზე.

— ***რას უნდა ველოდოთ სამხრეთ აფრიკაში იოჰიმ ლიოვის გუნდისგან?***

— ისეთი საფეხბურთო ქვეყანა, როგორიც გერმანიაა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ყოველთვის ერთი მიზნით მიდის — გამარჯვება. მათ ამის გაკეთება შეუძლიათ, თუ ცოტა იღბალიც წაეხმარება. ბოლო 2 მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრები, როგორც მინიმუმი, ნახევარფინალში გადიოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რაღაც მცირე აკლდებოდა. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ გერმანიის ნაკრები ახლა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე წინა მუნდიალებზე.

— ***თქვენ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს უფრო შორიდან შეხედავთ, ვიდრე წინა მუნდიალს. წილისყრის ყურებისას ხომ არ გაგიჩნდათ სინანულის გრძნობა, რომ ასეთი დიდი დღესასწული თქვენ გარეშე ჩაივლის?***

— სინანული ის სიტყვა არ არის, რაც ამ გრძნობას შეეფერება. თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ველი, რადგან ამ დღესასწაულს ახალ რანგში, კომენტატორად შევხვდები.

— ***ნანობთ, რომ დატოვეთ გერმანიის ნაკრები?***

— სხვაგვარად მოქცევა, უბრალოდ, არ შემეძლო. ჩემთვის, პირველ რიგში, ოჯახი დგას და შემდეგ ყველაფერი სხვა დანარჩენი.

— ***მუდმივად ჩნდება ხმები, რომ სათავეში ჩაუდგებით ამა თუ იმ გუნდს ან ნაკრებს. არის შესაძლებელი, რომ ოდესმე კიდევ გიხილოთ, რომელიმე გუნდის სათადარიგოთა სკამზე დამჯდარი?***

— ხმები ჭორის დონეზე ყოველთვის მრავლად არის, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე არანაირი კონტრაქტის გაფორმებაზე არ ვფიქრობ.

# ფერარას ტურინში არ სწყალობენ



მას შემდეგ, რაც ტურინის „იუვენტუსმა“ იტალიის სერია „ა“-ში ბოლო ტურის მატჩი შინ 1:2 წააგო „კატანიასთან“, კლუბის ხელმძღვანელობას ამდენი ცუდი მატჩების სერია (ბოლო 6 მატჩში 5 წააგეს და ამავდროულად ჩემპიონთა ლიგასაც დაემშვიდობნენ) ყელში ამოუვიდა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი ჩირო ფერარას განთავისუფლების თაობაზე.

ტურინული კლუბის ხელმძღვანელობამ პირველი წინადადება ძველ კადრს, იტალიის ნაკრების ამჟამინდელ თავკაც მარჩელო ლიპის შესთავაზა, მაგრამ ლიპი „იუვენტუსში“ დაბრუნებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

— „იუვენტუსში“ დაბრუნებას სულაც არ ვაპირებ. ამ გუნდის მარიონეტი არასდროს გავხდები. რაც აქამდე ამ კლუბისთვის მიკეთებია, ყოველთვის მომგებიანი იყო მათთვის. როდესაც გუნდიდან მივდიოდი, მათ შევთავაზე ფერარა და შეეძინათ ფაბიო კანავარო და ფაბიო გროსო, რაც წარმატებით შეძლეს. მართალია, ჩირომ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს უფრო ახალგაზრდული ასაკის ბრალია. მას აქვს ბევრი დადებითი თვისება, მათ შორის ქარიზმაც, რომ მალე ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გახდება. პირადად, ძალიან მომწონს მისი იდეები, — განაცხადა ლიპიმ.

მიუხედავად იტალიურ ფეხბურთში სიტყვის მთქმელი პიროვნების განცხადებისა, კლუბი ფერარას გაშვებას მაინც გეგმავს და უკვე სხვა ვარიანტებსაც განიხილავს. მათი ძირითადი მიზანი „მშობლიური“ კადრები არიან და ლიპის უარის შემდეგ შესაძლოა, მთავარი მწვრთნელის თანამდებობა პაველ ნედვედმა დაიკავოს.

ნედვედმა ფეხბურთთან განშორება ამ ზაფხულს გადაწყვიტა და მაშინვე უარი განაცხადა ფერარას თანაშემწე გამხდარიყო, მაგრამ ახლა შესაძლოა, მთავარმწვრთნელობას დათანხმდეს. ერთია, ნედვედს ჯერ სამწვრთნელო ლიცენზია არ აქვს, მაგრამ მის აღებამდე ჩეხი სპეციალისტის ლუჩანო ბრუნისთან წყვილად მუშაობას განიხილავენ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კაიზერი | 4:1 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლეიშეოში-ოლჰანენსე | 2:2 |

**ჰოლანდია. თასის მერვეფინალი**

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-იგლზი | 0:2 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-მილუოკი | 81:84 |
| ორლანდო-იუტა | 104:99 |
| ჩიკაგო-საკრამენტო | 98:102 |
| სან ანტონიო-კლიპერსი | 103:87 |
| ფინიქსი-კლივლენდი | 91:109 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-ტამპა ბეი | 2:4 |
| ატლანტა-მონრეალი | 3:4(ოტ) |
| კაროლინა-რეინჯერსი | 1:3 |
| ტორონტო-ბუფალო | 2:3(ოტ) |
| ფილადელფია-ფლორიდა | 1:4 |
| ოტავა-ბოსტონი | 0:2 |
| პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 0:4 |
| მინესოტა-კოლორადო | 3:4 |
| დალასი-სან ხოსე | 2:4 |
| ფინიქსი-კოლამბუსი | 5:2 |
| ედმონტონი-სენტ ლუისი | 2:7 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სიტის ცხელი ზამთარი ელის



ინგლისურ პრესაში სულ უფრო და უფრო აქტიურად განიხილება იტალიელი სპეციალისტის, რობერტო მანჩინის „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა. გაზეთ „სანის“ მტკიცებით, „სიტის“ ხელმძღვანელობასა და მანჩინის შორის შეთანხმება ჯერ კიდევ 2 კვირის წინ შედგა, მაგრამ ხელშეკრულების ოფიციალურ გაფორმებამდე იტალიელმა სპეციალისტმა კლუბის ხელმძღვანელობას იმის გარანტიები მოსთხოვა, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისთვის სოლიდურ თანხას გამოყოფენ. მანჩინიმ „სიტის“ არაბი მფლობელებისგან თანხმობა მიიღო.

ინგლისური პრესა უკვე იმასაც წერს, რომ მანჩინი უკვე შეუდგა გუნდის თავის თარგზე მოჭრას. ფეხბურთელების შეძენასთან ერთად მანჩინი გუნდისთვის ბალასტის მოშორებას ცდილობს. წამსვლელთა შორის უკვე მოიაზრებიან უეინ ბრიჯი და ჟულიენ ლესკოტი. სხვათა შორის, ლესკოტიმ ეს სეზონი „ევერტონის“ შემადგენლობაში დაიწყო და მანჩესტერელებმა სოლიდური თანხით ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მაინც შეძლეს მისი გადაბირება, თუმცა, როგორც ჩანს, ეს თანხა წყალში გადაყრილად ითვლება. ამასთან, თუ ლესკოტს გუნდიდან გაუშვებენ, მიმდინარე სეზონში სხვა გუნდში თამაში ფიფას კანონების თანახმად აღარ შეეძლება, რადგან უკვე მოასწრო 2 კლუბის გამოცვლა.

რაც შეეხება ახალი ფეხბურთელების შეძენას, მანჩინის პირველი სატრანსფერო ნაბიჯი ტურინის „იუვენტუსის“ მცველ ჯორჯო კიელინისკენ მიემართება. მისი აზრით, 25 წლის მცველი შესანიშნავ დუეტს შექმნის კოლო ტურესთან. მანჩინი იტალიაშივე აპირებს დაცვის გაძლიერებას და თავისი ყოფილი გუნდის „ინტერისთვის“ 2 მცველის წართმევას ლამობს — ბრაზილიელი დუგლას მაიკონი და კოლუმბიელი ივან კორდობა. მათი „სიტიში“ გადასვლა კი საფრთხეს უქმნის მანჩესტერული სკოლის აღზრდილ მიკა რიჩარდსა და არგენტინელ პაბლო საბალეტას, რომლებიც ან გუნდს დაემშვიდობებიან, ანაც ღრმა სათადარიგოთა სკამზე მოუწევთ ჯდომა.

თითქოს მაიკონის „სიტიში“ გადაყვანა დიდი პრობლემა უნდა იყოს, მაგრამ ბრაზილიელი ფეხბურთელი ბოლო დროს გამუდმებით წუწუნებს ხელფასზე, რაც არაბი შეიხების სქელ საფულეს შანსს აძლევს იოლად დაიყოლიოს ფეხბურთელი. რაც შეეხება კორდობას, რომელიც „ინტერში“ 1999 წლიდან თამაშობს, ძნელი სათქმელია, რა აქვს გულში ამოჭრილი — დარჩეს მიჩვეულ გუნდში თუ გარემო შეიცვალოს. თუმცა, როგორც თავად აცხადებს, მანჩინის შეთავაზებაზე სერიოზულად დაფიქრდება.

— თუკი მანჩინის ჩემი ნახვა „სიტიში“ სურს, ამ წინადადების სერიოზული განხილვა დამჭირდება. სადღეისოდ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, — აცხადებს 33 წლის ფეხბურთელი.

მანჩინის კიდევ ერთი სამიზნე „ინტერის“ თავდამსხმელი მარიო ბალოტელია, მაგრამ მისი გაშვება აზრადაც არ მოსდის მილანური კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის და მანჩესტერელებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

— „სიტის“ ხელმძღვანელობამ გულშიც არ გაიფიქროს ბალოტელის შეძენა. მარიო ძალიან მალე ჩვენი გუნდის სიმბოლო გახდება. საღად მოაზროვნე პრეზიდენტები კი ასეთ ფეხბურთელებს არ ყიდიან, — განაცხადა მორატიმ.

ფაქტი ერთია, მანჩინისა და „სიტის“ ცხელი ზამთარი ელით.

## დღის კალენდარი
### 23 დეკემბრისთვის



წლის 357-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 8 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

სულთმოფენობიდან 29-ე შვიდეული. ოთხშაბათი.

ხსენება მოწამე: მინასი, ერმოგენისა და ევგრაფისა (დაახლ. 313); მოწამე გემელი პაფლაგონელისა (დაახლ. 361); ღირსი თომასი (X); ნეტარი იოანესი (1503) და მშობელთა მისთა; ნეტარი სტეფანესი (1446) და ნეტარი ანგელინასი — სერბეთის მთავართა.

**დაიბადნენ:**

1732 - რიჩარდ კარტრაიტი, ინგლისელი მეწარმე, სართავი დაზგის შემქმნელი და პირველი სართავი ფაბრიკის ორგანიზატორი.

1777 - ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში, გარდაიცვალა 1825 წელს.

1790 - ჟან ფრანსუა შამპოლიონი, ფრანგი ეგვიპტოლოგი, ძველეგვიპტური იეროგლიფების გამშიფვრელი, გარდაიცვალა 1832 წელს.

1799 - კარლ ბრიულოვი, რუსი მხატვარი.

1805 - ჯოზეფ სმიტი, ამერიკელი წინასწარმეტყველი, მორმონთა („უკანასკნელი დღის წმინდანები") რელიგიური სექტის დამაარსებელი, გარდაიცვალა 1844 წელს.

1858 - ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო, რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, სტანისლავსკისთან ერთად მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის დამაარსებელი, გარდაიცვალა 1943 წელს.

1881 - ხუან რამონ ხიმენესი, ესპანელი პოეტი.

1896 - ჯუზეპე ლამპედუზა, იტალიელი მწერალი.

1918 - ჰელმუტ შმიდტი, დასავლეთ გერმანიის კანცლერი 1974-1983 წლებში.

1933 - აკიჰიტო, იაპონიის იმპერატორი 1989 წლიდან.

**გარდაიცვალნენ:**

1563 - ივან ფიოდოროვი, წიგნის ბეჭდვის დამაარსებელი რუსეთსა და უკრაინაში.

1834 - თომას მალთუსი, ინგლისელი ეკონომისტი.

1939 - ანტონ ფოკერი, ჰოლანდიელი ავიაკონსტრუქტორი და მრეწველი.

1942 - კონსტანტინ ბალმონტი, რუსი პოეტი.

1972 - ანდრეი ტუპოლევი, რუსი ავიაკონსტრუქტორი.

**მოვლენები:**

800 - რომში მეფედ აკურთხეს კარლოს დიდი, ფრანკების მეფე.

1909 - დედამიწელთა პირველი შეხვედრა ამოუცნობ მფრინავ ობიექტთან აშშ-ში, ბოსტონში.

1947 - ამერიკელთა მეცნიერებმა შექმნეს ტრანზისტორი.

1968 - ამერიკელმა ასტრონავტებმა ბორმანმა, ლოუელმა და ანდერსმა პირველად შემოუფრინეს მთვარეს.

1972 - ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ნიკარაგუას დედაქალაქი მანაგუა.

1986 - მოსკოვში გადასახლებიდან დაბრუნდა დისიდენტი ანდრეი სახაროვი.

1990 - სლოვენიაში (იუგოსლავია) ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგებით სლოვენია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

იაპონია — იმპერატორის დაბადების დღე

ეგვიპტე — გამარჯვების დღე

მექსიკა — ბოლოკის ფესტივალი

*მედიანიუსი*

# „ოქროს პერგამენტი" წლის ადამიანებს გადაეცემათ

*ეკა ირემაშვილი*

კლუბ-რესტორან „ვერე გარდენში" წლის ადამიანებისა და კომპანიების დაჯილდოების ცერემონიალი „ოქროს პერგამენტი 2009" გაიმართება. წლის ადამიანებისა და კომპანიების გამოსავლენად საქართველოს ყველა რეგიონში საგანგებო გამოკითხვა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 1257 რესპონდენტმა მიიღო.

„ოქროს პერგამენტი 2009" გაიცემა ათ ნომინაციაში — წლის ადამიანი, წლის ბიზნესმენი, წლის ხელოვანი, წლის პროექტი, წლის ჟურნალისტი, წლის მეგობარი ქვეყანა, წლის გუნდი, წლის კომპანია, წლის ბრენდი და წლის კომუნიკატორი.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, საკმაოდ საინტერესო ლაურეატები გამოიკვეთა. მართალია ათი ნომინაციაა დაწესებული, მაგრამ წელს 11 „ოქროს პერგანეტი" გაიცემა, ვინაიდან ერთ ნომინაციაში ორი გამარჯვებულია.

ლაურეატების გამოვლენისადმი საზოგადოებაში ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, ვინაიდან „ოქროს პერგამენტი" ნებისმიერი პიროვნებისა თუ კომპანიისთვის მისი საქმიანობისა თუ იმიჯისთვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. პრიზი „ოქროს პერგამენტი" კვლავაც ზარაფხანაში დამზადდება.

„ოქროს პერგამენტის" მფლობელები უკვე არიან წლის ადამიანი — სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, პაატა ბურჭულაძე, რობერტ სტურუა, ნინო ბურჯანაძე, კობა სუბელიანი, გიორგი თარგამაძე, გიორგი გოგუაძე, მაია რჩეულიშვილი, ია ანათაძე, ინგა გრიგოლია, პატრიცია ფლორი, დენის კიფი, ირაკლი ცირეკიძე და მანუჩარ კვირკველია. იგივე პრიზი სხვადასხვა დროს გადაეცათ კომპანიებს „ნატახტარი", „სახალხო ბანკი", „ავერსი-ფარმა", „თელიანი ველი", „ჯეოსელი". მეგობარ ქვეყნებად კი დასახელდა საფრანგეთი. წლის პროექტის ნომინაციაში „ოქროს პერგამენტი „ვანის საგანძურს" მიენიჭა.

„ოქროს პერგამენტი 2009"-ის გამარჯვებულები ვერე გარდენში 24 დეკემბერს გამოვლინდებიან.

# „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2" კინოთეატრებში გამოდის




*ეკა ირემაშვილი*

ბოლო თვეებში ქართველმა რეჟისორებმა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ახალი ქართული ფილმი შესთავაზეს საზოგადოებას. მათ რიცხვს ფორმულა „კრეატივიც" შეუერთდება, რომელიც 24 დეკემბერიდან კინოთეატრებში „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს ორს" გამოუშვებს.

როგორც ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები აცხადებენ, ფილმის პირველმა ნაწილმა გასულ წელს, მაყურებელთა დასწრების ყველა რეკორდი მოხსნა, ამიტომ ფილმის ავტორებმა მისი მეორე ნაწილის გადაღება გადაწყვიტეს.

„რაც ყველაზე ძალიან გიყვარს ორში" კვლავაც ტელე-კომპანია „რუსთავი 2"-ის სერიალის „ჩვენი ოფისის" მსახიობები მონაწილეობენ. შეცვლილია ფილმის რეჟისორი. გიორგი ლიფონავას ნაცვლად ფილმის მეორე ნაწილი რატი რამიშვილმა გადაიღო.

ფილმის გმირები კვლავ უამრავ სასაცილო და უხერხულ სიტუაციებში აღმოჩნდებიან. სერიალის ორი წყვილი — თიკუნა და დოლჩე და ნოდარი და ნუნუკა კი დაქორწინებას გადაწყვეტენ. ფილმში უფრო მეტია რომანტიკა. სურათის ძირითადი სიუჟეტი, რომელზეც ფილმია აგებული, იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი გმირებიდან ორ ქალბატონს, ახალდაბადებული შვილები ერთმანეთში აერევათ და მთელი ფილმის მანძილზე იმის გარკვევაში არიან, რომელი რომლის ბავშვია.

„რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2"-ის პრემიერა თბილისის კინოთეატრებში 24 დეკემბერს გაიმართება. ფილმის შემოქმედებით ჯგუფს დიდი იმედი აქვს, რომ მეორე სერია პირველის რეკორდს გააუმჯობესებს.

# საუკეთესო მთარგმნელი დიუმას ცენტრში დააჯილდოვეს

*ეკა ირემაშვილი*

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრმა მერაბ მამარდაშვილის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოცემული ახალი თარგმანების პრეზენტაცია გამართა. მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამა საქართველოში 1998 წელს დაარსდა. იგი ეხმარება ქართულ გამომცემლობებს ფრანგი ავტორების ნაწარმოებების ქართული თარგმანების გამოცემაში. დღემდე ამ პროგრამის დახმარებით 91 წიგნია გამოცემული.

ლიტერატურული პრემია წლის საუკეთესო თარგმანი ფრანგული ენიდან 2007 წელს დაარსდა. იგი ყოველ წელს გადაეცემა იმ საუკეთესო თარგმანის ავტორს, რომელიც შესრულდა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში. ამ პრემიის ლაურეატები არიან — 2007 წლის საუკეთესო თარგმანი ფრაგული ენიდან: ლორან გოდეს „სკორტების მზე", მთარგმნელი ნინო ახვლედიანი. 2008 წლის საუკეთესო თარგმანი ფრანგული ენიდან: დანიელ პენაკის „ძაღლი ძაღლი", მთარგმნელი გიორგი ეკიზაშვილი.

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ლიტერატურულმა ჟიურიმ 2009 წლის საუკეთესო თარგმანად ფრანგული ენიდან დარეჯან (დოდო) ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი დაასახელა. მთარგმნელი ნამუშევრისთვის „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ" (ჟან-ჟაკ რუსო) საუკეთესო მთარგმნელად აღიარეს.

## ესტონეთში ქართული კინოს კვირეული მოეწყო

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში საქართველოს ეროვნული კინოცენტრის თანაორგანიზებით ქართული კინოს კვირეული მოეწყო, რომელიც ქართველი რეჟისორის ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმის „სამი სახლის" ჩვენებით გაიხსნა.

ქართული ფილმის ჩვენება ტალინის კინოთეატრ „არტისში" გაიმართა. ფილმი თავად რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ და მასში მონაწილე მსახიობმა ნატა მურვანიძემ წარადგინეს.

ქართული კინოს კვირეულის პროგრამაში 2008-2009 წლებში შექმნილი 7 მხატვრული, 6 დოკუმენტური და 2 ანიმაციური ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი.

## „მის აფხაზეთი 2009" მარიამ კილასონიაა

კლუბ „ტრიუმფში" სილამაზის კონკურსი „მის აფხაზეთი 2009" გაიმართა, რომელიც 1995 წლის შემდეგ აღარ მოწყობილა. სილამაზის კონკურსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო. სამოდელო სააგენტო „ტოპ□ბიუთიმ" სილამაზის კონკურსისთვის 18 გოგონა შეარჩია და ისინი 5 ნომინაციაში დააჯილდოვა.

„მის აფხაზეთი 2009" 17 წლის მარიამ კილასონია გახდა, რომელსაც ეროვნული ზარაფხანის მიერ დამზადებული სპეციალური ოქროს გვირგვინი საზეიმო ვითარებაში დაადგეს თავზე. მასვე გადაეცა ორკაციანი საგზური ეგვიპტეში. ნომინაციაში „ვიცე მის აფხაზეთი" ქრისტი ჩხარტიშვილმა გაიმარჯვა. „მის მშვიდობა" — თამთა გოგელაშვილი, „მაყურებლის სიმპათიად" „მის აფხაზეთი 2009" მარიამ კილასონია დასახელდა, ხოლო „ესემეს გამარჯვებულად" ლანდა კორძაია დაასახელეს.

„მის აფხაზეთი 2009"-ის გამარჯვებულები საპატიო ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი გია ბარამიაც შედიოდა. სილამაზის კონკურსი აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების მხარდაჭერას, აფხაზეთის თემის პოპულარიზაციას და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით როგორც ქართული და აფხაზური, ასევე საერთაშორისო ყურადღების მიპყრობას ისახავდა მიზნად.

## სამეფო უბნის თეატრში ბავშვთა სახლის კონცერტი გაიმართა

სამეფო უბნის თეატრში ბავშვთა სახლ „სათნოების" კონცერტი მოეწყო. ბავშვთა სახლის პატარა აღსაზრდელებმა მაყურებლისთვის საგანგებოდ მომზადებული მრავალფეროვანი კონცერტი მოაწყვეს. კონცერტის ფარგლებში შესრულდა ქართული საგალობლები, საესტრადო და კლასიკური სიმღერები. კონცერტის ორგანიზატორი კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერია", რომელიც ბავშვთა სახლს მეურვეობასაც უწევს.

**იორგ მათისი, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" გენერალური დირექტორი:**

— ჩვენი კომპანია მეურვეობას უწევს ბავშვთა სახლ „სათნოებას". მათი სურვილი იყო, წინასაახალწლოდ კონცერტი გაემართათ და ფართო საზოგადოებისთვის საკუთარი შესაძლებლობები წარედგინათ. ჩვენ გვერდით დავუდექით მათ და ფინანსური დახმარება გავუწიეთ. ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, მათი მხიარული და გალაღებული სახეების ყურება. ეს ბავშვები სრულიად ახალ როლში წარდგნენ მაყურებლის წინაშე და მათი სიხარული ჩვენზეც გადმოვიდა. მგონია, რომ ეს კონცერტი მათ არასოდეს დაავიწყდებათ.

## პიანისტებისთვის კონკურსი დაიწყო

უცხოეთში მოღვაწე ქართველი პიანისტის ქეთევან სეფაშვილის მიერ დაარსებული ასოციაციის ეგიდით თბილისში ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსი დაიწყო. მასში მონაწილეობის უფლება „ნიჭიერთა ათწლედის" მოსწავლეებს აქვთ. კონკურსის ჟიურიში კი ორგანიზატორებმა უცხოეთის პიანისტები მიიწვიეს.

საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კონკურსის ინიციატორმა ქეთევან სეფაშვილმა სოლო-კონცერტიც გამართა. „ნიჭიერთა ათწლედში" მოღვაწე პიანისტებისთვის კონკურსი ორ ტურად გაიმართება. დასკვნითი კონცერტი და გამარჯვებულთა გამოვლენა საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში 28 დეკემბერს მოეწყობა.

**ქეთევან სეფაშვილი, პიანისტი:**

— კონკურსი ტარდება იმისთვის, რომ გამოავლინოს რამდენიმე საუკეთესო მოსწავლე. გამარჯვებულები ევროპაში გააგრძელებენ სწავლას. კონკურსის ერთ-ერთი მთავარი ჯილდო — პიანისტის მიერ ვენაში კონცერტის ჩატარებაა.

## შვიდ პატარა პიესას თუმანიშვილში განახორციელებენ

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი მორიგი პრემიერისთვის ემზადება. რეჟისორმა და მსახიობმა ზურაბ გეწაძემ ლაშა ბუღაძის „შვიდი პატარა პიესის" განხორციელება გადაწყვიტა.

სპექტაკლის მხატვარი შოთა გლურჯიძეა. ზურაბ გეწაძის წარმოდგენაში კი ქეთი ასათიანი, რუსიკო ბოლქვაძე, მაია გელოვანი, ვანო თარხნიშვილი, ნანა შონია, ეკა ჩხეიძე, ლია კაპანაძე, ლალი კეკელიძე, თემო ნატროშვილი, ნათია ფარჯანაძე, გიორგი ყიფშიძე და ნიკა წერედიანი მონაწილეობენ.

„შვიდი პატარა პიესა" კინომსახიობთა თეატრში 25, 26 და 27 დეკემბერს იქნება წარმოდგენილი.

*ეკა ირემაშვილი*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. რელიგიური ფერწერის ერთ-ერთი დარგი; 2. გეომეტრიული ფიგურა; 3. სამთო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერება; 4. ულელტეხილი აჭარაში; 5. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 12. უნგრელი კომპოზიტორი; 14. საზღვარგარეთის ბანკში გახსნილი ანაბარი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 17. ამბის მომტანი, შიკრიკი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 10. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 11. სამხედრო სატუსაღო; 13. ჩვილი ბავშვის საფენი; 16. სილამაზის, სიყვარულის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ავტობუსი; 2. მონარქი; 3. „სვანი"; 4. ბიონიკა; 5. კაქტუსი; 10. სენსაცია; 11. სოციოლოგია; 12. მსუნაგი; 15. მარგალიტი; 16. უჯარმა; 17. ვეროკიო; 20. მაცნე.

**თარაზულად:** 6. ღვინობისთვე; 7. კირთაძე; 8. ეპილოგი; 9. მუთაქა; 13. ნიკე; 14. ბონუსი; 18. ინტერნეტი; 19. „ლეგია"; 21. გადია; 22. მაუგლი; 23. ბობოყვათი; 24. კლიასერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. ბრუკი; 3. „ვალენსია"; 4. კრუზადო; 5. ნისტერლოოი; 9. ღრეობა; 12. კანიონი; 14. ვარძია; 15. „ლეგო"; 17. ბრუნი; 18. „იკაო".

**თარაზულად:** 6. ცეზურა; 7. მაშარაბი; 8. ოპტიკა; 19. „ლაკმე"; 11. „ნაცარქექია"; 13. წვეულება; 16. ბაგები; 19. კაბოშონი; 20. „ვატერ-

# ჟერარ დეპარდიე მუშტით დამტვრეული მანქანისათვის პოლიციაში გამოიძახეს



ცნობილ ფრანგ მსახიობს ჟერარ დეპარდიეს ახლო მომავალში პარიზის მეექვსე ოლქის პოლიციაში გამოცხადება მოუწევს.

დეპარდიემ ხელისუფლებს უნდა განუმარტოს, თუ რა მიზეზით დაამტვრია ავტომობილი, რომელიც მისი სახლის მახლობლად, შერშ მიდის ქუჩაზე იყო გაჩერებული.

არსებული ცნობების თანახმად, ეს ინციდენტი კვირას საღამოს მოხდა. ჟერარ დეპარდიე მანქანას მიუახლოვდა, რამდენჯერმე მიარტყა ფეხი კარსა და ბორბლებს, შემდეგ კაპოტსა და საქარე მინას მუშტი უთავაზა და იქაურობას გაეცალა.

იგი ერთ-ერთმა გამვლელმა იცნო, ავტომობილის პატრონმა კი მომხდარის შესახებ მეორე დღეს შეიტყო და პოლიციაში განაცხადა.

დეპარდიეს საქციელის მიზეზები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ პოლიციას მიაჩნია, რომ მსახიობის ასეთი ყოფაქცევა მისი გადაღლით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ჟერარ დეპარდიე ცნობილია თავისი როლებით ფილმებში „სირანო დე ბერჟერაკი“, „ასტერიქსი და ობელიქსი“, „უილბლოები“ და სხვა.

დეპარდიე 160-მდე ფილმშია გადაღებული, არის „ოქროს გლობუსისა“ და „სეზარის“ ლაურეატი.

გარდა კინოგადაღებებისა, ჟერარ დეპარდიე მეღვინეობას მისდევს, სარესტორაციო ბიზნესშია ჩართული. 27 დეკემბერს მას 61 წელი უსრულდება.

# უგო ჩავესი ანხელის ჩანჩქერისთვის სახელის გამოცვლას აპირებს



ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობისათვის, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ანხელის ჩანჩქერისთვის სახელის გამოცვლისა და და მისთვის აბორიგენული სახელწოდების დაბრუნების წინადადება წამოაყენა.

ჩანჩქერ ანხელის სიმაღლე თითქმის ერთი კილომეტრია. იგი ვენესუელის ტერიტორიაზე მდებარეობს და ამერიკელი მფრინავის, ჯიმი ენჯელის სახელს ატარებს. როგორც ვარაუდობენ, ენჯელი პირველი მოგზაურია, რომელმაც ეს ჩანჩქერი 1930-იან წლებში აღმოაჩინა.

ჯიმი ენჯელი 1957 წელს 57 წლის ასაკში ავიაკატასტროფაში დაიღუპა. უგო ჩავესის აზრით, ვენესუელის რუკებიდან მისი სახელი უნდა გაქრეს და ჩანჩქერს ინდიელების მიერ ენჯელის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე შერქმეული სახელი, კერეპაკუპაი-მერუ უნდა დაუბრუნდეს.

ყოველკვირეული სატელევიზიო გამოსვლის დროს ვენესუელის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სისულელედ მიაჩნია ვარაუდი, თითქოს მსოფლიოში უდიდესი ჩანჩქერი აშშ-დან თვითმფრინავით მოფრენილმა ადამიანმა აღმოაჩინა.

— შეიძლება დავუშვათ, რომ მან თვითმფრინავიდან პირველმა დაინახა იგი, მაგრამ მანამდე რამდენი მილიონი აბორიგენი ლოცულობდა მასზე? მას ანხელი აღარავინ უნდა უწოდოს. ამ ადამიანისადმი პატივისცემის მიუხედავად, ჩანჩქერს ძველი სახელი უნდა დაუბრუნდეს, ასე არ არის? — განაცხადა მან.

ვენესუელის პრეზიდენტმა თავდაპირველად ჩანჩქერს სახელად ჩურუნ-მერუ შეურჩია, მაგრამ შემდეგ პირდაპირ ეთერშივე შეცვალა იგი. მისმა ქალიშვილმა მარიამ შენიშნა, რომ ჩანჩქერის ძირში მცხოვრები პემონების ინდიელთა ტომი მას კერაპაკუპაი-მერუს უწოდებს.

ვენესუელის პრეზიდენტმა რამდენჯერმე წაივარჯიშა ახალი სიტყვის წარმოთქმაში და შემდეგ განაცხადა, რომ სრულად დაეუფლა მას და ამიერიდან ჩანჩქერს ნამდვილად ინდიელთა მიერ შერქმეული სახელი ეწოდება.

# 35 წელი ციხეში სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის



ამერიკელ პატიმარს, ჯეიმს ბეინს, დანაშაულისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია, ციხეში ოცდაათ წელზე მეტი დროის გატარება მოუხდა და ამ რეკორდის მხრივ მას მსოლიოში ვერავინ შეედრება.

მისი უდანაშაულობა ამას წინათ დნმ ტესტირების საშუალებით დამტკიცდა.

ბეინმა საკანში 35 წელი გაატარა. 1979 წელს სასამართლომ იგი ცხრა წლის ბავშვის გატაცებასა და გაუპატიურებაში ცნო დამნაშავედ.

ფლორიდის შტატში სასამართლოს დარბაზში გათავისუფლების შემდეგ მან განაცხადა, რომ ციხეში ყოფნის დროს რწმენა ეხმარებოდა და განაწყენებული არავისზე არ არის.

54 წლის ბეინი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო. ბოლო სასამართლო პროცესზე, რომელმაც მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო, იგი მაისურით „უდანაშაულო“ მივიდა.

ბეინმა სხვადასხვა ინსტანციაში მისი საქმის გადასინჯვისა და დნმ ტესტირების თხოვნით რამდენიმე მიმართვა გაგზავნა.

მისი მიმართვების უმეტესობა სანაგვეში ხვდებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დნმ ტესტირება ჩატარდა და მისი უდანაშაულობა დამტკიცდა.

პრესის თანახმად, ბეინის დამნაშავეობის მთავარ დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევდნენ იმას, რომ მას ხელი თავად დაზარალებულმა დაადო, მიუხედავად იმისა, რომ 35 წლის წინ აღებულმა ანალიზებმა მის მიერ დანაშაულის ჩადენა ვერ დაადასტურა.

თავად ბეინი ამტკიცებდა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი დასთან ერთად ტელევიზორს უყურებდა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბეინმა განაცხადა, რომ პირველ რიგში დედასთან შეხვედრას აპირებს, რადგან დედამისი, ისევე, როგორც თავად, გათავისუფლების იმედს არ კარგავდა.

— უბრალოდ, დადგა დრო, როდესაც ღმერთმა ჩემი გათავისუფლება გადაწყვიტა. მოთმინებაა საჭირო, არ შემიძლია, ვინმეს ჯავრი ჩავიდო გულში, ჩემს თავს ღმერთს მივანდობ, — განაცხადა მან.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ სკოლის დამთავრებას აპირებს, გარდა ამისა, შემწვარი ინდაურის ხორცსა და „დრ პეპერის“ გაზიან წყალზე ოცნებობს.

გასულ წელს ფლორიდის შტატში მიღებული კანონის თანახმად, უსამართლოდ დასჯილ ყოფილ პატიმარს კომპენსაციის სახით 1.75 მილიონი დოლარის მიღება შეუძლია.

საინფორმაციო სააგენტო ესოშიეიტედ პრესი

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს დევნილთა სახალხო პარტიის ხელმძღვანელობა ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის

**ჯემალ გოგიტიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ალექსანდრე ბენდიანიშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი ალექსანდრე ბენდიანიშვილი.

ა. ბენდიანიშვილი იმ ქართველ მამულიშვილთა რიგებს განეკუთვნება, რომლებმაც სიცოცხლეშივე მოიპოვეს საყოველთაო აღიარება და უდიდესი ღვაწლიც დასდეს ქართულ კუტურას, მეცნიერებას. მისი შემოქმედებითი ცხოვრება – ეს იყო უანგარო სამსახური იმ იდეალებისადმი, რაც უყვარდა, რისიც სჯეროდა. მისი ხანგძლივი და მეტად ნაყოფიერი ცხოვრება მაგალითია, თუ რა სიმაღლეზე შეიძლება აიყვანოს პიროვნებამ თავისი პროფესიონალიზმი, რომლის შედეგები ხშირად მკითხველის აღტაცებას, ხოლო ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგების – განრისხებას იწვევდა. ყველა ქართველი ისტორიკოსის სამაგიდო წიგნი გახდა მისი მონოგრაფიები: „ქართული სოფელი 1864-1918 წწ.“, „გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა“, „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“, ‘საქართველოს ისტორია (180–1921)“, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ და მრავალი სხვა.

უდიდესია ა. ბენდიანიშვილის დამსახურება ისტორიკოსთა ახალი თაობის მომზადების საქმეში. მან აღზარდა და გზაზე დააყენა არაერთი ათეული მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი. წლების განვავლობაში ის იყო კათედრის გამგე – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, განყოფილების გამგე – ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, ის ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივთან, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

ყველგან, სადაც კი ა. ბენდიანიშვილი მოღვაწეობდა, მას გამოარჩევდა უდიდესი პასუხისმგებლობა, კოლეგიალობა, პროფესიონალიზმი.

შრომისმოყვარე, სათნო და საოცრად ენერგიული პიროვნება ბოლო დრომდე აქტიურად მონაწილეობდა ახალ სამეცნიერო პროექტებში, დიდია მისი დამსახურება ‘საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის ბოლო, დამამთავრებელი ტომის მომზადებაში.

გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე და პატრიოტი, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, მუდამ დარჩება ქართველ ისტორიკოსთა, მეგობრებისა და ახლობლების მეხსიერებაში.

**ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ტესტი

დასაწყისი მე-12 გვერდზე



***6. სტუმრად მისული, მაგალითად, დაბადების დღეზე:***

ა. წინასწარ დათქვამთ, როდის აპირებთ წასვლას (3). ბ. ელოდებით, სანამ ვინმე გამოთქვამს დაშლის იდეას (1). გ. ცდილობთ, სიტუაციის მიხედვით იმოქმედოთ (2). დ. ამაზე არ ფიქრობთ (0).

***7. კვების რაიმე რეჟიმს თუ იცავთ?***

ა. აუცილებლად (3). ბ. გსურთ, მაგრამ ვერ ახერხებთ (2). გ. არ გინდათ, მაგრამ გიხდებათ (1). დ. ჭამთ, როდესაც გინდათ (0).

***8. დანიშნულ შეხვედრაზე დაგაგვიანდათ და არ დაგელოდნენ:***

ა. მოძებნით, თუნდაც ძალიან დაგაგვიანდეთ (3). ბ. საკუთარ თავს დაჰპირდებით, რომ მეორედ არ დაიგვიანებთ (2). გ. შეეცდებით, რაც შეიძლება დიდხანს არსად გადაეყაროთ იმ ადამიანს (1). დ. ყურადღებას არ მიაქცევთ (0).

***9. დაგვიანებას აუხსნით:***

ა. აბსოლუტურად გულახდილად, თუნდაც ეს არ მოგიწონ (3). ბ. მიგაჩნიათ, რომ ტყუილი თავის მართლების შესანიშნავი საშუალებაა (1). გ. ვითარების მიხედვით იმოქმედებთ (0). დ. თავის მართლებას არ დაიწყებთ (2).

***10. როდესაც ვინმე თქვენთან შეხვედრაზე იგვიანებს:***

ა. აღარ სცემთ მას პატივს (2). ბ. მეტს აღარ შეხვდებით (3). გ. გესმით მისი, რადგან თავადაც მოხვედრილხართ მსგავს სიტუაციაში (1). დ. არ განაღვლებთ ეს (0).

***11. თავისუფალ დროს, როგორც წესი:***

ა. ისვენებთ (2). ბ. ჰობის უთმობთ (0). გ. ამჯობინებთ სამომავლოდ დაგეგმილი საქმეების კეთებას (1). დ. თავისუფალი დრო, უბრალოდ, არ გაქვთ (3).

***12. გაქვთ თუ არა უბის წიგნაკი, სადაც სასწრაფო საქმეების შესახებ შენიშვნები შეგაქვთ?***

ა. აუცილებლად (3). ბ. მაქვს, მაგრამ მავიწყდება შევსება (1). გ. არა, ისედაც კარგად მახსოვს ყველაფერი (2). არა, ყიდვა დამავიწყდა (0).

## პასუხები

**0-9 ქულა:** მეგობრები და ახლობლები თქვენგან გაწამებული არიან, საახალწლო წვეულების ნაცვლად თავისუფლად შეგიძლიათ, საშობაო წვეულებაზე აღმოჩნდეთ. დროულად პაემანზე, ალბათ, მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მისულხართ. გამორიცხული არ არის, თქვენი სახელი მეგობრების წრეში დაგვიანების სიმბოლოდ იქცეს.

**10-18 ქულა:** პუნქტუალობა თქვენთვის დამახასიათებელი არ არის, მაგრამ არც მთლად წყალწაღებული ხართ ამ თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში, ცდილობთ, არსად დაიგვიანოთ. თუ ასე მაინც ხდება, ახერხებთ მნიშვნელოვანი მიზეზის მოძებნას.

**19-27 ქულა:** იმ მცირერიცხოვანი ადამიანების რიცხვს განეკუთვნებით, რომლებსაც თითქმის არაფერი ავიწყდებათ, ამიტომაც პრობლემებს არ უქმნიან არც საკუთარ თავს და არც სხვებს. დროს იდეალურად ვერ ანაწილებთ, მაგრამ არც სირცხვილით გასაწითლებლად გაქვთ საქმე.

**28-36 ქულა:** თუ სიზუსტე მეფეთა თავაზიანობად არის აღიარებული, თქვენ ნამდვილი იმპერატორი ხართ. ალბათ, მხოლოდ ერთხელ დაიგვიანეთ — მესამე კლასში, ლიტერატურის გაკვეთილზე, რადგან კინაღამ მანქანამ გაგიტანათ და მზრუნველმა დეიდებმა და ბიძიებმა საავადმყოფოში გაგაქანეს. ცოტა მოეშვით, მაინც ყველგან და ყველაფერს მოასწრებთ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 23 დეკემბერი**

**07.00** ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ანელიას სახე"** **13.30** დოკ. ფილმი "ველური ოქრო" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანელიას სახე"** **22.00** ჩვენებურები – აღმოსავლეთის მზე **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფ. **"დიდი თეთრი ტვირთი"** (U) (რ. უილიამსი)
ბ) მხ. ფ. **"ხმაურიანი გაძევება"** (U) (ჰ. ჰანტერი)

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ანელიას სახე"** **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** **23.50** მხ. ფილმი **"სტარკვეზერი"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ვის უნდა 20 ათასი **23.00** სერ. **"ექიმი პაუსი"** **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"შავი ანგელოზის გაფრენა"** (18) (პ. სტრაუსი)

**08.00** მულტფილმი "კონანი" **09.00** გადაცემა "ტვ დილერი" **11.00** სერ. **"მარია ემილია"** **12.00** სერ. **"ტყუპები"** **12.45** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ტყუპები"** **19.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **12.00** სერ. **"კლინიკა"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. **"ლაბირინთი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერ. **"კლინიკა"** **00.00** სერ. **"24-5"** **01.00** მხ. ფილმი **"ევროტური"** (15) (ს. მეჰლოვიჩი) **02.35** ქრონიკა **02.50** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.55** მხ. ფილმი **"ჟანდარმი პენსიაზე"** **10.30, 19.30** სერ. **"მონადირე"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.40** მხ. ფილმი **"ტომას კრაუნის აფიორა"** **15.50** მხ. ფ. **"რობინ ჰუდი"** **18.00** მხ. ფილმი **"9 თვე"** **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.30** მხ. ფ. **"განდგომილები"** **01.30** მხ. ფილმი **"40 დღე, 40 ღამე"**

**ერთსულოვნება**

**09.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.30** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფ. **"ხსოვნა"** მე-2 ს. **13.00** კონცერტი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფილმი **"თხუნელა"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ერთი ცის ქვეშ"** **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მართლმ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი". დოკ. ფილმი "პატრიარქობის ჯვრისმტვირთველი" **22.00** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 23 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**ამინდის პროგნოზი 23 დეკემბრისთვის**




__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-13, ღამით — 9-2
__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-17, ღამით — §-11
__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 9-4, ღამით — -12-1





ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო”

უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

''სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.



# მარტა და მესი — ორი ყველაზე უკეთესი

**შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ჩატარდა ფიფას მიერ მოწყობილი გალა-დაჯილდოება, სადაც მსოფლიოს უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს 2009 წლის შედეგები უნდა შეეჯამებინა. რა თქმა უნდა, მთავარი თემა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება იყო, რომელიც ეროვნული ნაკრებების მთავარ მწვრთნელებსა და კაპიტნებს უნდა დაესახელებინათ. ეს პროცედურა დაჯილდოების საღამოს ბოლოსთვის იქნა გადადებული, თუმცა თავს უფლებას მივცემთ და მისით დავიწყებთ.**



მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაზე ხუთნი იყვნენ წარდგენილნი — ლეო მესი, ხავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა (სამივე ბარსელონა), კაკა და კრიშტიანუ რონალდუ (ორივე მადრიდის რეალი). ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მათგან საუკეთესო „ბარსელონას არგენტინელი ფეხბურთელი ლეო მესი გახდებოდა. არგენტინელმა ფეხბურთელმა თავისი შესანიშნავი თამაშით უდიდესი დახმარება გაუწია გუნდს, რომელიც წელს 6 ტიტულის მფლობელი გახდა: ესპანეთის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის, უეფას სუპერთასისა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული. ამასთან, მესიმ 3 ფინალურ მატჩში მოახერხა გოლის გატანა.

ასეც მოხდა — გამოკითხვის შემდეგ მესიმ 1073 ქულა დააგროვა, რაც ფიფას ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელიც გახდა. მეორე ადგილი კრიშტიანუ რონალდუმ (352) დაიკავა, მესამე ადგილზე ხავი (196) გავიდა, მეოთხეობა რიკარდო კაკას (190) ერგო, ხოლო მეხუთე — ანდრეს ინიესტას (134).

— უზომოდ ბედნიერი ვარ. შესანიშნავი გრძნობაა, როდესაც საუკეთესოდ კოლეგები და მწვრთნელები გაღიარებენ. ეს ამ ჯილდოს უფრო საპატიოს ხდის. ამასთან კიდევ უფრო ბედნიერს მხდის, რომ პირველი არგენტინელი გავხდი, ვინც ეს საპატიო ჯილდო მოიპოვა. ვფიქრობ, ამ ჯილდოს „ბარსელონას“ ნებისმიერი ფეხბურთელი იმსახურებდა, რადგან ამ გუნდმა მიმდინარე წელს ყველაფერი მოიგო. ყველაზე თამამ ფიქრებშიც კი ვერ ვიოცნებებდი იმას, რაც წელს „ბარსელონამ“ მიაღწია, — ციტირებს მესის სიტყვებს ფიფას ვებგვერდი.

ქალთა შორის კი უნიკალურ შედეგს მიაღწია ბრაზილიელმა მარტა ვიეირა და სილვამ, რომელიც ზედიზედ მეოთხედ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად და აბსოლუტური რეკორდსმენი შეიქნა. აქამდე სამჯერ საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს გერმანელი ბრიგიტ პრინციც ფლობდა. მარტამ თავის თანამემამულე კრისტიანას, გერმანელებს — ინკა გრინგსა და ბრიგიტ პრინცს, ასევე ინგლისელ კელი სმიტს აჯობა.

ამ პრესტიჟული ნომინაციების გარდა, ფიფამ კიდევ რამდენიმე პრიზი გასცა: ფეხბურთის განვითარებისთვის ფიფამ წელს ჩინეთი ყველასგან გამოარჩია, „ფეარ-პლეის“ პრიზი გარდაცვალების შემდეგ ერგო სერ ბობი რობსონს, რომელიც წელს 31 ივლისს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. ფერენც პუშკაშის პრიზი, მიმდინარე წელს ყველაზე ლამაზი გოლის ავტორ კრიშტიანუ რონალდუს ერგო, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში „პორტუს“ კარში გატანილი გოლისთვის, რომელიც პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ჯერ კიდევ „მანჩესტერის“ მაისურით გაიტანა. ეს პრიზი ჯორჯ ვეასთან ერთად პუშკაშის ქვრივმა, ელიზავეტ პუშკაშმა გადასცა გამარჯვებულს.

რა თქმა უნდა, ფიფამ დაასახელა წლის სიმბოლური ნაკრებიც, რომელიც ასე გამოიყურება:

მეკარე: იკერ კასიალიასი (ესპანეთი, რეალი);

მცველები: დანიელ ალვეში (ბრაზილია, ბარსელონა), ჯონ ტერი (ინგლისი, ჩელსი), ნემანია ვიდიჩი (სერბეთი, მანჩესტერი), პატრის ევრა (საფრანგეთი, მანჩესტერი);

ნახევარმცველები: ხავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა (ორივე ესპანეთი, ბარსელონა), სტივენ ჯერარდი (ინგლისი, ლივერპული);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, რეალი), ფერნანდო ტორესი (ესპანეთი, ლივერპული).

საერთოდ ფიფას ტრადიციული გამოკითხვა სათავეს 1991 წლიდან იღებს და წელს მე-19-ედ ჩატარდა. გაგაცნობთ ყველა იმ ფეხბურთელს, რომელთაც ეს პრესტიჟული ჯილდო აქამდე მოუპოვებიათ: ლოთარ მათეუსი (გერმანია, 1991), მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია, 1992), რობერტო ბაჯო (იტალია, 1993), რომარიო (ბრაზილია, 1994), ჟორჟ ვეა (ლიბერია, 1995), რონალდო (ბრაზილია, 1996-97), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, 1998), რივალდო (ბრაზილია, 1999), ზინედინ ზიდანი (2000), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია, 2001), რონალდო (2002), ზინედინ ზიდანი (2003), რონალდინიო (ბრაზილია, 2004-05), ფაბიო კანავარო (იტალია, 2006), კაკა (ბრაზილია, 2007), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, 2008), ლეო მესი (არგენტინა, 2009).

# გიგა ლორთქიფანიძემ მუსიკალური ფილმი გადაიღო

ეკა ირემაშვილი



ცნობილ ქართველ საოპერო მომღერალზე ლადო ათანელზე რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ქალალდის გული“ გადაიღო, რომლის პრემიერაც კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა.

რეჟისორმა ფილმი უმოკლეს დროში — 20 დღეში გადაიღო და იგი მთლიანად ქართველი ბარიტონის საოპერო კარიერაზე მოგვითხრობს. ლადო ათანელთან ერთად ფილმში მსახიობი ნანა ლორთქიფანიძე მონაწილეობს. ფილმში მომღერლის პირადი არქივიდან ამოღებული კადრებია გამოყენებული. ლადო ათანელის შემოქმედებას მომღერლის მეუღლე, ქალბატონი მანანა ჩიქოვანი პირველი დღეებიდან ფირზე აღბეჭდავს.

ფილმის გადაღება ლადო ათანელის საქველმოქმედო ფონდმა „თანადგომამ“ დააფინანსა. ფილმიდან შემოსული თანხით საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“ 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონს და ღვაწლმოსილ მომღერალს ანზორ ფიოლიას დაეხმარება, რომელსაც გულის გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება.

**ლადო ათანელი — საოპერო მომღერალი:**

— ჩემთვის უდიდესი ბედნიერება და სიამოვნება იყო ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან მუშაობა და თანამშრომლობა. საკმაოდ მობილიზებული და ფანტასტიკური შემოქმედებითი ჯგუფი დამხვდა თბილისში, ეს ფილმი სულ რაღაც 20 დღეში გადავიღეთ. შედეგით ნამდვილად კმაყოფილი ვარ და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონ გიგას.

**ნანა ლორთქიფანიძე — მსახიობი:**

— კარგია თუ არა ფილმი, ეს უკვე მაყურებელმა უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს, მაგრამ მგონია, რომ ფილმი შედგა. ამაში კი ლომის წილი ბატონ ლადო ათანელს მიუძღვის. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ასეთ არაჩვეულებრივ პიროვნებასთან, უნიჭიერეს მომღერალთან მომიწია მუშაობა. მსახიობურად ბატონმა ლადომ ძალიან კარგად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 2. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 3. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 4. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 5. ქართული ნავთობკომპანია; 10. მცირე ამპლიტუდის რხევები; 11. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი; 12. ლიბანის დედაქალაქი; 15. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი; 16. მდინარე კიევში; 17. რიცხვებით, ასოებით გამოხატული, მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა; 20. უნგრული ღვინო.

**თარაზულად:** 6. საცეკვაო ხელოვნება; 7. ხეხილის ბაღი; 8. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 9. ფრანგი მწერალი, ნოველისტი; 13. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 18. გასართობი თავსატეხი; 19. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 21. ლუდის სასმელი ჭიქა; 22. მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე; 23. თბილისელი გიტარისტი, მომღერალი, პოეტი მამაკაცი; 24. დიდი სახაზავი, შიმშა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



ორი ძველი მეგობარი ერთმანეთს შეხვდა.

— როგორ ხარ?

— არა მიშავს. უკვე 10 წელია, რაც დავოჯახდი, ცოლი მოტოხერხივით მექცევა, დილიდან საღამომდე მხერხავს. შენ?

— მეც კარგად ვარ, ერთი წელია ცოლიანი ვარ, ცოლს ჯერჯერობით არა უშავს რა, ბეწვახერხივით შემოქმედებითად უდგება საქმეს...

***

ორი კინოპროდიუსერი საუბრობს:

— რა თქმა უნდა, ანტიკური ისტორიის ეკრანიზაცია კარგი იდეაა, მაგრამ, ერთი ამიხსენი, სიყვარულის ქალღმერთის როლზე შავკანიანი მსახიობი რატომ აიყვანე?

— სცენარში ხომ გარკვევით წერია — აფრო-დიტე...

***

— ამქვეყნად უფასო არაფერია. მაშინაც კი, თუკი გინდა, რომ მოგატყუონ, ფული უნდა გადაიხადო...

— შენ რა, გინდა, რომ ვინმემ იაფფასიანი მეძავი დაგიძახოს?

— არა!

— ჰოდა, მეტი მოითხოვე...

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ასტროპროგნოზი 23 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ახალ საქმეს დღეს ნუ წამოიწყებთ.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თევზები** — მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, საღამო მშვენიერი იქნება. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## გაქვთ თუ არა დროის შეგრძნება

**ტესტი**



***1. შინ მისულმა შეიტყვეთ, რომ თქვენი საყვარელი გადაცემა 5 წუთში იწყება, თქვენ კი საქმე გაქვთ დასამთავრებელი:***

ა. საქმეს დაამთავრებთ და ტელევიზორს მიუჯდებით (3). ბ. ყველაფერს მიატოვებთ და ტელევიზორს მიუჯდებით (0). გ. საქმეს დაიწყებთ, თან ტელევიზორს ჩართავთ (2). დ. ტელევიზორს გამორთავთ და არც საქმეს გააკეთებთ (1).

***2. წარმოიდგინეთ, რომ მოხსენება გაქვთ მოსამზადებელი. მისთვის მზადების დროს შეეცდებით:***

ა. მოხსენება საინტერესო იყოს აუდიტორიისათვის, დროს ყურადღებას არ მიაქცევთ (1). ბ. შეეცდებით, მკაცრად განსაზღვრულ დროში ჩაეტიოთ (3). გ. ცოტა უმჯობესია (2). დ. ვითარების მიხედვით იმოქმედებთ (0).

***3. შინ დაბრუნდით და დაღლილობისგან ფეხზე ვერ დგებით, მაგრამ დაუმთავრებელი საქმე დაგრჩათ.***

ა. საქმეს დაამთავრებთ. (3). ბ. ხვალისთვის გადადებთ (1). გ. გააკეთებთ იმდენს, რამდენსაც შეძლებთ, დანარჩენს ხვალისთვის გადადებთ (2). დ. დასაძინებლად წახვალთ (0).

***4. შრომისუნარიანი ხართ:***

ა. დილით (1). ბ. სადილის შემდეგ (2). გ. საღამოს (0). დ. თქვენი შრომისუნარიანობა დროზე არ არის დამოკიდებული (3).

***5. დილით, როგორც წესი:***

ა. მაღვიძარა გაღვიძებთ (2). ბ. თავად იღვიძებთ (3). გ. ახლობლების დახმარება გჭირდებათ (0). დ. თავად იღვიძებთ, მაგრამ ნებივრობა გიყვართ (1).

გაგრძელება მე-11 გვერდზე